

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი



ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი
მოდული: ბუღალტრული აღრიცხვა და აუდიტი

სტუდენტი: შოთა გოდერძიშვილი

ძირითადი საშუალებების აღრიცხვისა და ანალიზის სრულყოფის
საკითხები შპს მშენებელის მაგალითზე

ნაშრომი შესრულებულია ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის
აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი:

მარინა მაისურაძე

ასოცირებული პროფესორი

თბილისი

2019 წელი

ანოტაცია

ნაშრომში კვლევის ობიექტს წარმოადგენს ძირითადი საშუალებები. მისი მიზანია ძირითადი საშუალებების ცნებისა და არსის, აქტივად აღიარების კრიტერიუმების, მიღების აღრიცხვის, ცვეთისა და გადაფასების საკითხების გაანალიზება, აგრეთვე ანალიზის მეთოდის საკითხების შესწავლა-გაანალიზება.

ნაშრომი მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნების შესაბამისად. თეორიული ნაწილის მიმოხილვისას გამოყენებულია როგორც ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები, ასევე სხვადასხვა ლიტერატურა, ინტერნეტ საიტები და დამხმარე სახელმძღვანელოები.

ნაშრომის პრაქტიკული ნაწილი მომზადებულია შპს „მშენებელი“-ს მაგალითზე. კვლევაში წარმოდგენილია ინფორმაცია ზემოაღნიშნული საწარმოს ძირითადი საშუალებების, მათი სტრუქტურის, მოძრაობისა და ტექნიკური მდგომარეობის შესახებ. აღნიშნული საწარმოს კვლევის პროცესში გამოყენებულია სხვადასხვა სახის ცხრილები, გრაფიკები და დიაგრამები, მოყვანილია კონკრეტული მაგალითები, გამოთვლილია სხვადასხვა სახის კოეფიციენტები შპს „მშენებელი“-ს ძირითადი საშუალებების ანალიზისათვის წლების მიხედვით და შედარებული რამდენიმე წლის მონაცემები ერთმანეთთან.

ნაშრომის დასკვნით ნაწილში კი წარმოდგენილია დასკვნის შედეგები. მიმოხილულია კვლევის განმავლობაში გამოვლენილი საკვანძო საკითხები, დასმულია კონკრეტული პრობლემები, შპს „მშენებელი“-ში არსებულ მდგომარეობასთან დაკავშირებით და ბოლოს გაცემულია დასკვნები და რეკომენდაციები აღნიშნული პრობლემების აღმოსაფხვრელად.

Annotation

The Subject of this research is accounting policy for fixed assets. Main aim of this research is analyze the concepts, recognition criteria, receiving, recording, evaluation and revaluation of fixed assets and the methods of asset analysis. ad analyzing the methods of accounting Property Plant and equipment

The paper is prepared according to the international standards of accounting. In the Theoretical part of the paper is used as well as international standards for financial reporting, so various literature, Internet sites and supporting manuals.

The practical part of the work is prepared on the example of the LLC construction company "Builder". The study provides information on the fixed assets of the abovementioned enterprise, their structure, movement and technical condition. Different types of tables, and diagrams are used in the process of research of the given enterprise, concrete examples are presented, different types of coefficients are analyzed by years of analyzing the fixed assets of the LLC "Builder" and comparing data for a few years.

In conclusion part of this paper is presented final part of the work. Key issues discussed during the survey are reviewed with specific problems regarding the situation in the LLC "Builder" and finally conclusions and recommendations have been made to eliminate these problems.

Shota Goderdzishvili

სარჩევი

| | |
|--|----|
| შესავალი | 5 |
| თავი 1. ძირითადი საშუალებების აღრიცხვა | 7 |
| 1.1 ძირითადი საშუალებების ცნება, კლასიფიკაცია, აღიარება და შეფასება..... | 7 |
| 1.2 ძირითადი საშუალებების მიღების აღრიცხვა | 12 |
| 1.3 ძირითადი საშუალებების ცვეთისა და გადაფასების აღრიცხვა | 28 |
| თავი 2. ძირითადი საშუალებების ანალიზის მეთოდის საკითხები | 39 |
| 2.1 ძირითადი საშუალებების ტექნიკური დონის ანალიზი | 39 |
| 2.2 ძირითადი საშუალებების გამოყენების ეფექტიანობის ანალიზი | 54 |
| 2.3 საწარმოო სიმძლავრეების გამოყენების ანალიზი..... | 69 |
| დასკვნა | 83 |
| გამოყენებული ლიტერატურა..... | 86 |

შესავალი

თემის აქტუალობა. ძირითადი საშუალებების აქტუალობა და როლი შეუფასებელია თანამედროვე წარმოების სფეროში. ისინი არიან ხანგრძლივი გამოყენების აქტივები, რომლებიც უშუალოდ მონაწილეობენ ქვეყნის დოვლათის შექმნაში.

თანამედროვე მსოფლიო, რომლისთვისაც დამახასიათებელია თავისუფალი ვაჭრობა, ქმნის ერთი მხრივ ბევრ შესაძლებლობას წარმოებული პროდუქციითა თუ მომსახურებით ათვისებულ იქნას არა მხოლოდ ადგილობრივი, არამედ საერთაშორისო ბაზრები, ხოლო მეორე მხრივ ბევრ გამოწვევას, რადგან იზრდება თანამედროვე ტექნოლოგიების როლი გლობალურ ეკონომიკაში.

ძირითადი საშუალებების არსებობა, საწარმოებს აძლევთ საშუალებას ბევრად მცირე დროში გამოუშვან ბევრად მეტი პროდუქცია ან გაუწიონ მომსახურება და ეს ყველაფერი ნაკლები ძალისხმევითა და დანახარჯებით გააკეთონ. თავად ძირითადი საშუალებებიც წარმოებული საშუალებებია, ის ქვეყნები, რომლებიც თავად აწარმოებენ ასეთ აქტივებს, მაღალი მწარმოებლურობით და შესაბამისად ეკონომიკური ზრდის მაღალი ტემპით ხასიათდებიან.

წარმოების განვითარება ქვეყნის ეკონომიკური განვითარების უალტერნატივო გზაა, რადგან სახელმწიფო ბიუჯეტში რამდენჯერმე შემობრუნდება ძირითად საშუალებებში განივთებული ეკონომიკური სარგებელი, საწარმოში დასაქმებული მუშების ხელფასებიდან დაკავებული საშემოსავლო გადასახადების სახით, საწარმოს მოგების გადასახადის სახით და სხვა. სწორედ ამიტომ ქვეყნები მუდმივად ცდილობენ წარმოების განვითარების ხელშეწყობას, მათ შორის სხვადასხვა სახის გრანტებით და სუფსიდიებით.

კვლევის მიზანი. ძირითადი საშუალებების არსისა და როლის გაცნობა თანამედროვე წარმოების სფეროში.

კვლევის ამოცანები:

- ძირითადი საშუალებების არსისა და კლასიფიკაციის შესწავლა და მათი აღიარებისა და შეფასების მეთოდების დადგენა;
- ძირითადი საშუალებების შექმნის ხერხების განხილვა;
- ძირითადი საშუალებების ცვეთისა და გადაფასების აღრიცხვის განხილვა;
- ძირითადი საშუალებების როლის გაცნობა წარმოების სფეროში;

➤ ძირითადი საშუალებებისა და საწარმოო სიმძლავრეების გამოყენებისა და ეფექტიანობის ანალიზი.

კვლევის ობიექტი: კვლევის ობიექტს წარმოადგენს შპს „მშენებელი“, მისი ძირითადი საშუალებების როლისა და გამოყენების მნიშვნელობის განსაზღვრა.

კვლევის საგანი: ძირითადი საშუალებების აღრიცხვისა და ანალიზის სრულყოფის საკითხები, შპს „მშენებელი“-ს მაგალითზე.

კვლევაში გამოყენებული მეთოდები: კვლევის თეორიულ და მეთოდოლოგიურ საფუძვლად გამოყენებული იქნება აბსტრაქციის, ლოგიკური ანალიზისა და სინთეზის, შედარებითი ანალიზის მეთოდები.

მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და საინფორმაციო რესურსები: ნაშრომში გამოყენებულია სხვადასხვა ავტორის მიერ შედგენილი ლიტერატურა, საქართველოს საკანონმდებლო და ნორმატიული აქტები, სხვადასხვა ინტერნეტ-მასალა, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტები.

თავი 1. ძირითადი საშუალებების აღრიცხვა

1.1 ძირითადი საშუალებების ცნება, კლასიფიკაცია, აღიარება და შეფასება

ეკონომიკური საქმიანობის განსახორციელებლად საჭიროა ხანგრძლივი გამოყენების წარმოების საშუალებები, რომლებსაც ძირითად საშუალებებს უწოდებენ. ძირითადი საშუალებების აღრიცხვას არეგულირებს ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტი (ბასს 16), რომლის მიხედვითაც ძირითადი საშუალებები არის მატერიალური აქტივები, რომლებიც:

- იმყოფება საწარმოს მფლობელობაში და გამოიყენება: საქონლის საწარმოებლად, მომსახურების გასაწევად, იჯარით გასაცემად, ადმინისტრაციული ან სხვა მიზნებისათვის; და

- გათვალისწინებულია ერთ საანგარიშგებო პერიოდზე მეტი ხნით გამოსაყენებლად.

ძირითადი საშუალებების კლასიფიკაცია შეიძლება მოხდეს:

- გამოყენების სფეროების მიხედვით;
- დარგობრივი ნიშნით;
- ნივთობრივ-ნატურალური ნიშნით.

გამოყენების სფეროების მიხედვით ძირითადი საშუალებები იყოფა საწარმოო და არასაწარმოო დანიშნულების ძირითად საშუალებებად.

საწარმოო დანიშნულების ძირითადი საშუალებებია შრომის იარაღები, რომლებიც უშუალოდ მონაწილეობენ და ხელს უწყობენ წარმოების პროცესს, ხოლო არასაწარმოო ძირითადად საშუალებებს მიეკუთვნება შენობები, ნაგებობები და ხანგრძლივი მოხმარების ისეთი საგნები, რომლებიც უშუალოდ არ მონაწილეობენ წარმოების პროცესში, თუმცა კვლავ წარმოების აუცილებელ პირობას წარმოადგენენ.

დარგობრივი ნიშნით ძირითადი საშუალებები იყოფა მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, მშენებლობის, ვაჭრობის კავშირგაბმულობის და ა.შ. ძირითად საშუალებებად.

ნივთობრივ-ნატურალური ნიშნის მიხედვით ბასს 16 ძირითად საშუალებების თითოეულ ჯგუფში აერთიანებს ერთგვაროვანი ბუნებისა და ეკონომიკური დანიშნულების აქტივებს და ძირითად საშუალებებს ყოფს შემდეგ ჯგუფებად:

- მიწა;
- შენობა-ნაგებობები;
- მანქანა-დანადგარები;
- გემები;
- თვითმფრინავები;
- სატრანსპორტო საშუალებები;
- ავეჯი და მოწყობილობა;
- ოფისის აღჭურვილობა.

საკუთრების ფორმების მიხედვით ძირითად საშუალებებს აჯგუფებენ შეძენილ და იჯარით აღებულ ძირითად საშუალებებად.

წარმოების ყველა საშუალება არ მიეკუთვნება ძირითად საშუალებას. ბასს ძირითად საშუალებებად აღიარებს ისეთ მატერიალურ აქტივებს, რომლების აკმაყოფილებენ შემდეგ კრიტერიუმებს:

- მოსალოდნელია, რომ საწარმო მომავალში ამ აქტივების გამოყენებით მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს; და

- საწარმოსთვის შესაძლებელია აქტივის ღირებულების საიმედოდ შეფასება.

აქტივის ძირითად საშუალებად აღიარება ნიშნავს მის შესაბამისობის დადგენას აღიარების კრიტერიუმებთან და ამ უკანასკნელის დადასტურების შემთხვევაში მის აღრიცხვას შესაბამის ანგარიშებზე. თუ დადგინდება, რომ ამა თუ იმ აქტივისგან არაა მოსალოდნელი ეკონომიკური სარგებლის მიღება მაშინ ეს აქტივი უნდა ჩამოიწეროს ან გასხვისდეს.

დროის მონაკვეთს, რომლის განმავლობაშიც ძირითად საშუალებებს შეუძლიათ მოიტანონ ეკონომიკური სარგებელი, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა ეწოდება.

აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა განისაზღვრება ამ აქტივის მოსალოდნელი სარგებლიანობით საწარმოსათვის. საწარმოს აქტივების მართვის პოლიტიკა შეიძლება გულისხმობდეს აქტივების გაყიდვას, გარკვეული დროის ან

აქტივში განივთებული მომავალი ეკონომიკური სარგებლის გარკვეული ნაწილის მოხმარების შემდეგ. ამის გამო, ზოგჯერ შესაძლებელია აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა მისი ეკონომიკური ვარგისიანობის ვადაზე ნაკლები აღმოჩნდეს. ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის დადგენა დამოკიდებულია საწარმოს ხელმძღვანელის გადაწყვეტილებაზე, რომელიც ეყრდნობა მსგავსი აქტივების მქონე საწარმოს გამოცდილებას.

ძირითად საშუალებებში განივთებული ეკონომიკური სარგებლის გამოყენება საწარმოს მიერ, ძირითადად აქტივის ექსპლუატაციის გზით ხდება. თუმცა, ისეთი ფაქტორები, როგორცაა ტექნიკური მოძველება და ფიზიკური ცვეთა აქტივის გამოუყენებლობის პერიოდში, ხშირად იწვევს იმ ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელსაც მოელოდნენ აქტივისგან. ამიტომ, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის დადგენისას გათვალისწინებული უნდა იქნეს შემდეგი ფაქტორები:

- საწარმოს მიერ აქტივის რეალური გამოყენება, რომელსაც განსაზღვრავს აქტივის სავარაუდო სიმძლავრე ან ფიზიკურად გამოშვებული პროდუქცია;
- სავარაუდო ფიზიკური ცვეთა და ტექნიკური მოძველება, რომელიც დამოკიდებულია საწარმოო ფაქტორებზე, როგორცაა: ცვლების რაოდენობა, საწარმოს სარემონტო სამუშაოების პროგრამა და გამოუყენებელი აქტივების შენახვისა და დაცვის წესი;
- ტექნიკური ან კომერციული მოძველება, რაც გამოწვეულია საწარმოო პროცესის ცვლილებით ან გაუმჯობესებით, ან მოცემული აქტივის მეშვეობით წარმოებულ საქონელზე ან მომსახურებაზე ბაზრის მოთხოვნის ცვლილებით;
- აქტივის გამოყენების საკანონმდებლო ან მსგავსი შეზღუდვები.

ძირითადი საშუალებების აღიარების დროს უნდა განისაზღვროს ამ ერთეულის შემადგენელი კომპონენტები და ერთეულის მთლიან ღირებულებაში დაიყოს ის მნიშვნელოვან და უმნიშვნელო ძირითად საშუალებებად. რადგან მათ აქვთ განსხვავებული ღირებულების არსებობა, ცვეთის ხარისხი, ფუნქციონირების რეჟიმი, სასარგებლო მომსახურების ვადა და ა.შ. ამიტომ ისინი უდა აღიარდეს ცალკე დამოუკიდებელ ერთეულებად.

ბასს-ით მიწა და შენობები განიხილება დამოუკიდებელ აქტივებად და აღირიცხება ცალ-ცალკე, მათი ერთად შეძენის შემთხვევაშიც კი. ჩვეულებრივ, მიწას გააჩნია შეუზღუდავი, ხოლო შენობებს შეზღუდული მომსახურების ვადა.

რაც შეეხება სათადარიგო ნაწილებს და დამხმარე მოწყობილობებს, ისინი ძირითად საშუალებებად აღიარდება მაშინ, თუ აკმაყოფილებენ კრიტერიუმებს: გამოიყენებიან ერთ საანგარიშგებო პერიოდზე მეტი ხნით და მათგან შესაძლებელია ეკონომიკური სარგებლის მიღება, სხვა შემთხვევაში ისინი კლასიფიცირდება როგორც მარაგი.

ძირითადი საშუალებების აღრიცხვისას საჭიროა განსაკუთრებული ყურადღება დაეთმოს მათ შეფასებას. ბასს-ის მიხედვით ძირითადი საშუალების ერთეული, რომელიც აკმაყოფილებს აქტივის აღიარების კრიტერიუმებს, უნდა შეფასდეს მისი თვითღირებულებით.

ძირითადი საშუალების თვითღირებულება მოიცავს:

- მისი შესყიდვის ფასს, საიმპორტო საბაჟო გადასახადებისა და შესყიდვის დაუბრუნებადი გადასახადების ჩათვლით, ყოველგვარი სავაჭრო ფასდათმობისა და შეღავათების გარეშე;
- ნებისმიერ დანახარჯს, რომელიც პირდაპირაა დაკავშირებული აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანასა და მის სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან;
- ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტასთან დაკავშირებით მომავალში გასაწევი სამუშაოების ღირებულებას, როგორცაა აქტივის დემონტაჟის, ლიკვიდაციისა და ადგილმდებარეობის აღდგენის დანახარჯები, რის ვალდებულებასაც საწარმო იღებს აქტივის შეძენის მომენტში ან შემდგომ.

ძირითადი საშუალებების სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან დაკავშირებულ პირდაპირ დანახარჯებს მიეკუთვნება:

- აქტივის მომავალი ადგილმდებარეობის მომზადების დანახარჯები;
- ტრანსპორტირებისა და დატვირთვა-გადმოტვირთვის დანახარჯები;
- მოწყობილობის დადგმისა და დამონტაჟების დანახარჯები

- დაქირავებულ მომუშავეთა შრომის ანაზღაურების დანახარჯები, რომელიც წარმოიშობა პირდაპირ ძირითადი საშუალების შეძენასთან ან შექმნასთან დაკავშირებით;

- ტესტირების დანახარჯები, წმინდა ამონაგების გამოკლებით, რაც წარმოიშობა აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოყვანის პროცესში შექმნილი პროდუქციის გაყიდვით;

- პროფესიული მომსახურების დანახარჯები.

ძირითადი საშუალებების თვითღირებულება არ მოიცავს:

- მიღებულ ფასდათმობას;
- ახალი სიმძლავრეების ათვისების დანახარჯებს;
- ახალი პროდუქციისა და მომსახურების ათვისების დანახარჯებს;
- ახალ ადგილზე ან მომხმარებელთა ახალ კლასთან ბიზნესის წარმოების დანახარჯებს;

- ადმინისტრაციულ და სხვა საერთო ზედნაღებ დანახარჯებს.

ამგვარად, აქტივის თვითღირებულებაში შეიტანება მხოლოდ ისეთი დანახარჯები, რომლებიც უშუალოდაა დაკავშირებული აქტივების შეძენასთან და რომელთა გარეშეც ისინი ვერ იქნება მუშა მდგომარეობაში მოყვანილი.

ძირითად საშუალებებში ერთერთ მნიშვნელოვან გრძელვადიან აქტივს წარმოადგენს მიწის ნაკვეთი. მისი შეძენა ღირებულების გარდა დაკავშირებულია დამატებით ხარჯებთან, როგორცაა უძრავი ქონების აგენტების მომსახურების ანაზღაურება და სხვადასხვა გადასახადები. ყველა ეს დანახარჯი შეიტანება მის თვითღირებულებაში.

მიწის ნაკვეთის შეძენას თან ახლავს ასევე მისი კეთილმოწყობის სამუშაოები, როგორცაა მოედნებისა და ნაგებობების დემონტაჟი, გაწმენდა, მოსწორება, გზის დაგება, წყლისა და კანალიზაციის აღდგენა და სხვა. მიწის კეთილმოწყობის ხარჯები აკმაყოფილებს ძირითადი საშუალებების აღიარების კრიტერიუმებს: ამ აქტივის გამოყენებით საწარმო მომავალში მოელის ეკონომიკური სარგებლის მიღებას და

შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ შეფასება. ამიტომ ეს დანახარჯები კაპიტალიზდება და აღიარდება აქტივად.

1.2 ძირითადი საშუალებების მიღების აღრიცხვა

საწარმოების ძირითადი საშუალებებით აღჭურვა, შევსება, რეკონსტრუქცია, მოდერნიზაცია, საწარმოს გაფართოება კაპიტალური დაბანდების გზით ხდება. კაპიტალური დაბანდება ძირითადი საშუალებების შექმნასა და რეკონსტრუქციაზე გაწეული დანახარჯების ჯამია, რომელიც დაფინანსების შესაბამისი წყაროების ხარჯზე ხდება.

ძირითადი საშუალებების მიღება, რა გზითაც არ უნდა მოხდეს იგი, ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით, რომელშიც მითითებულია მათი ღირებულება და ძირითადი ტექნიკური მახასიათებლები. აღნიშნულ აქტს ადგენს საწარმოს ხელმძღვანელის მიერ შექმნილი კომისია, რომელსაც ხელს აწერს კომისიის თითოეული წევრი და ამის შემდეგ ის ძირითადი საშუალებების შექმნასა და ექსპლოატაციაში მოყვანასთან დაკავშირებული ხარჯების დამადასტურებელ დოკუმენტაციასთან ერთად გადაეცემა ბუღალტერიას.

მიღებული და აღიარებული ძირითადი საშუალება წარმოადგენს დამოუკიდებელ სააღრიცხვო ერთეულს, რომელსაც საინვენტარო ობიექტი ეწოდება. მას ენიჭება საინვენტარო ნომერი, რომლითაც ის ირიცხება საწარმოს ანგარიშზე მისი გამოყენების ვადის განმავლობაში. საინვენტარო ობიექტზე იხსნება საინვენტარო ბარათი, რომელშიც მითითებულია: ობიექტის დასახელება, მწარმოებლის დასახელება, წარმოების წელი, საქარხნო ნომერი, ცვეთის ნორმა, ადგილმდებარეობა, შენახვაზე და მოვლა-პატრონობაზე პასუხისმგებელი პირი და სხვა სპეციფიკური მახასიათებლები. საინვენტარო ბარათით ხორციელდება ძირითადი საშუალებების ყოველი ერთეულის აღრიცხვა და კონტროლი.

ძირითადი საშუალებები შეიძლება შექმნილ იქნეს უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად ან გარემოს დაცვის მიზნით. მიუხედავად იმისა, რომ ასეთი

აქტივების შექმნა პირდაპირ არ უკავშირდება საწარმოს მიერ ამ აქტივების გამოყენებით ეკონომიკური სარგებლის მიღებას, ეს აქტივები შეიძლება აუცილებელი იყოს საწარმოს მიერ სხვა აქტივებით ეკონომიკური სარგებლის მისაღებად. ძირითადი საშუალებების ამგვარი ერთეულების აღიარება აქტივების სახით იმის გამო ხდება, რომ ეს აქტივები საშუალებას იძლევიან, საწარმომ ეკონომიკური სარგებელი მიიღოს სხვა აქტივებიდან, რაც შეიძლება არ მომხდარიყო ამ აქტივების გარეშე.

ძირითადი საშუალებების შექმნა შესაძლებელია:

- ნაღდი ფულით;
- კრედიტით;
- წარმოება საკუთარი ძალებით;
- სხვა აქტივებზე გაცვლით;
- მიღება უსასყიდლოდ;
- ფინანსური იჯარით.

ძირითადი საშუალებების შექმნა ძირითადად ყიდვით ხორციელდება. ამისთვის მომწოდებელთან იდება ხელშეკრულება, რომელშიც აღინიშნება ანგარიშსწორების ფორმა, აქტივის ღირებულება, განაღდება ვადა, ფასდაკლება, მიწოდების ვადა და სხვა პირობები. შემდგომში ამ ხელშეკრულების საფუძველზე ხდება მათი აღრიცხვა შემოსავალში და შესაბამისი ბუღალტრული გატარებების შესრულება.

ძირითადი საშუალებების ნაღდი ფულით შექმნისას, მათი ერთეულის თვითღირებულება განისაზღვრება აღიარების დღისთვის თანადროული გადახდისას გადასახდელი ფასის ექვივალენტით, ანუ ფაქტიური დანახარჯის მეთოდით. იგი გულისხმობს ძირითადი საშუალებების თვითღირებულების განსაზღვრას მათ შექმნასა და საექსპლუატაციოდ მომზადებაზე გაწეული ფაქტიური ფულადი დანახარჯებით. სხვა სიტყვებით ძირითადი საშუალებების შეფასებას ფაქტიური თვითღირებულებით, ანუ პირვანდელი ღირებულებით.

თუ ძირითადი საშუალებების შექმნა ხდება იმპორტის გზით, მის განბაჟებაზე გაწეული ხარჯი გაზრდის მათ თვითღირებულებას.

ძირითადი საშუალებების პირვანდელ ღირებულებაში შეიტანება მათ შექმნასა და ექსპლოატაციაში მოყვანასთან გაწეული დანახარჯები, ხოლო თუ მონტაჟისას მოხდა აღნიშნული საშუალების დაზიანება, მისი აღდგენის ღირებულება შეიტანება არა პირვანდელ ღირებულებაში, არამედ ამ საშუალების ექსპლოატაციასთან დაკავშირებულ მიმდინარე ხარჯებში.

მაგალითი: საწარმომ შეიძინა ახალი დანადგარი და გადაიხადა 11800 ლარი, მ.შ. დღგ-1800. ტრანსპორტირების ხარჯია-800ლ, მონტაჟის ხარჯი-400ლ, დანადგარი დამონტაჟებისას დაზიანდა, რომლის გამოსწორებაზე დაიხარჯა-150ლ.

ეს ოპერაცია აისახება შემდეგი ბუღალტრული გატარებით:

დებეტი - მანქანა-დანადგარები 11200

დებეტი - გადახდილი დღგ 1800

კრედიტი - ფულადი საშუალებები 13000

რაც შეეხება დანადგარის დამონტაჟებისას აქტივის დაზიანების გამო დახარჯულ 150 ლარს, ის აქტივის თვითღირებულებაში არ შეიტანება და ბუღალტრულად მიმდინარე პერიოდის შესაბამისი ხარჯების ამსახველ ანგარიშზე აისახება:

დებეტი - რემონტის ხარჯი 150

კრედიტი - ფულადი საშუალებები 150

შექმნილი ძირითადი საშუალებების კომპონენტები შესაძლებელია დამოუკიდებელ ობიექტებად აღიარდეს. მაგ. თვითმფრინავი და მისი ძრავები, ავტომანქანები და მისი ნაწილები, კომპიუტერი და მისი ნაწილები და სხვა.

ძირითადი საშუალებების შექმნის დროს შესაძლებელია საწარმომ გაითვალისწინოს ის გარემოება, რომ მისი ჩამოწერის ან გაყიდვის დროს შეიძლება ადგილი ჰქონდეს აღნიშნული საშუალებების დემონტაჟთან ან ადგილმდებარეობის აღდგენასთან დაკავშირებულ ხარჯებს. ბასს-ის მიხედვით ასეთი ხარჯები შესაძლოა იქნეს ძირითადი საშუალებების თვითღირებულებაში მისი შექმნის დროს ანარიცხების სახით.

ეს ოპერაცია აისახება შემდეგი ბუღალტრული გატარებით:

დებეტი - ძირითადი საშუალებები

კრედიტი - ფულადი საშუალებები

კრედიტი - სხვა ანარიცხები

ზოგჯერ, ძირითადი საშუალებების შექმნასთან ან მოდერნიზაციასთან დაკავშირებით ადგილი აქვს ისეთ ოპერაციას, რომელიც საჭირო არაა აქტივის დანიშნულების ადგილას მისატანად, ან ისეთ სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად, რაც აუცილებელია ხელმძრვანელობის მიერ დასახული მიზნებისათვის აქტივის გამოსაყენებლად. მაგალითად, შემოსავალი შეიძლება მიღებულ იქნეს მშენებლობის დაწყებამდე სამშენებლო ტერიტორიის საავტომობილო სადგომად გამოყენებით. ამგვარ ოპერაციებთან დაკავშირებული შემოსავალი და ხარჯები აღიარდება მოგება-ზარალში და მიეცემა შესაბამისი კლასიფიკაცია.

მაგალითი: საწარმომ შეიძინა ტყით დაფარული მიწის ნაკვეთი - 150000 ლარად. იგი აღნიშნულ ნაკვეთზე გეგმავს სასტუმროს აშენებას. მიწის რეგისტრაციისთვის საწარმომ გადაიხადა - 3000ლ, ტყის გაჩეხვაზე დაიხარჯა-13500ლ, ტერიტორიის მოსწორებაზე -6000ლ, ხოლო მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობაზე -5500ლ. მოჭრილი ხე ტყის გაყიდვით მიიღო 18000 ლარის შემოსავალი.

ეს ოპერაცია აისახება შემდეგი ბუღალტრული გატარებებით:

1. მიწის ნაკვეთის შეძენა:
 - დებეტი - მიწის ნაკვეთები 150000
 - დებეტი - სხვა ხარჯები 22500
 - კრედიტი - ფულადი საშუალებები 172500
2. დებეტი - კეთილმოწყობის ხარჯები 5500
 - კრედიტი - ფულადი საშუალებები 5500

ამ შემთხვევაში მიწის ნაკვეთის საბალანსო ღირებულება მცირდება მოჭრილი ტყის რეალიზაციიდან მიღებული ამონაგების თანხით და იქნება 154500 (172500-18000).

საწარმომ ძირითადად მიწის ნაკვეთი შეიძლება შეიძინოს შენობა-ნაგებობებთან ერთად. იმის გამო, რომ მიწას ამორტიზაცია არ ერიცხება და ბუღალტრულად ცალკე ანგარიშზე აისახება, აუცილებელია შეძენისას გადახდილი თანხა პროპორციულად გადანაწილდეს მიწის ნაკვეთის, შენობებისა და ნაგებობების ღირებულებად.

მაგალითი: საწარმომ შეიძინა მიწის ნაკვეთი შენობა-ნაგებობებთან ერთად 700000 ლარად. დავუშვათ, მათი ცალ-ცალკე შეძენის შემთხვევაში, მიწის ნაკვეთი შეფასდებოდა 350000 ლარად, შენობები-250000 ლარად, ხოლო ნაგებობები- 400000 ლარად.

გაანგარიშება:

| | საბაზრო ღირებულება | ხვედრითი წილი %-ში | შეძენის ღირებულება |
|---------------|-----------------------|-----------------------|-----------------------|
| მიწის ნაკვეთი | 350000 | 35 | 245000 |
| შენობები | 250000 | 25 | 175000 |
| ნაგებობები | 400000 | 40 | 280000 |
| სულ | 1000000 | 100 | 700000 |

ეს ოპერაცია აისახება შემდეგი ბუღალტრული გატარებით:

დებეტი - მიწის ნაკვეთი 245000

დებეტი - შენობები 175000

დებეტი - ნაგებობები 280000

კრედიტი - ფულადი საშუალებები 700000

საწარმომ შესაძლებელია ძირითადი საშუალებები შეიძინოს **კრედიტით**, რაც ნიშნავს გადასახდელი თანხის გადავადებას. ასეთ დროს მყიდველსა და გამყიდველს შორის ფორმდება საკონტრაქტო გარიგება, რომელშიც ასახულია ყველა პირობა, ფასდათმობებისა და გადასახდელ პროცენტებთან დაკავშირებული დამატებითი პირობების ჩათვლით.

ძირითადი საშუალებების კრედიტით შეძენა შესაძლებელია განხორციელდეს:

- სავაჭრო კრედიტით - შემდგომი გადახდის პირობით დამატებითი სარგებლის გადახდის გარეშე. როგორც წესი სავაჭრო კრედიტის პერიოდი მოკლეა და საშუალოდ შეადგენს 30-60 დღეს;

- განვადებით - დამატებითი სარგებლის გადახდით;

სავაჭრო კრედიტით შესყიდვის ოპერაციებს ბუღალტრულად ექნება შემდეგი სახე:

1. დებეტი - ძირითადი საშუალებები

კრედიტი - ვალდებულებები მოწოდებიდან და მომსახურებიდან

2. დებეტი - ვალდებულებები მოწოდებიდან და მომსახურებიდან

კრედიტი - ფულადი საშუალებები

ხშირად, სავაჭრო კრედიტით შესყიდვებს, საკონტრაქტო გარიგებას თან ახლავს ფასდათმობა, ვალდებულებების ვადაზე ადრე დაფარვის შემთხვევაში. ასეთ დროს ადგილი ექნება შემდეგ ბუღალტრულ გატარებებს:

1. დებეტი - ძირითადი საშუალებები

კრედიტი - ვალდებულებები მოწოდებიდან და მომსახურებიდან

2. დებეტი - ვალდებულებები მოწოდებიდან და მომსახურებიდან

კრედიტი - ფულადი საშუალებები

კრედიტი - არასაოპერაციო შემოსავლები

არასაოპერაციო შემოსავლებში აღირიცხება ის თანხა, რომელიც საწარმომ მიიღო ფასდათმობის სანაცვლოდ, ვალდებულების ვადაზე ადრე დაფარვის გამო.

რაც შეეხება **განვადებას**, იგი ნიშნავს აქტივის ღირებულების გადახდის გადავადების სანაცვლოდ მყიდველის მიერ გამყიდველისთვის საპროცენტო სარგებლის გადახდას. განვადების პერიოდი დგინდება შეთანხმების საფუძველზე.

ბასს-ის მიხედვით, თუ ძირითადი საშუალებების შესაძენად აღებული კრედიტის დაფარვა სცილდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობების ფარგლებს, მაშინ მისი თვითღირებულება იქნება ნაღდი ფულით გადასახდელი თანხის ექვივალენტური. სწორედ ამ თანხასა და მთლიან გადასახდელ თანხას შორის სხვაობა არის ის საპროცენტო სარგებელი, რომელსაც საწარმო გადაუხდის მომწოდებელს კრედიტის სანაცვლოდ. ეს თანხა არ შევა შეძენილი აქტივის თვითღირებულებაში და აღიარებული იქნება როგორც საპროცენტო ხარჯი კრედიტის ვადის განმავლობაში.

ბასს-ის მიხედვით გადასახდელი პროცენტის ჩართვა აქტივის თვითღირებულებაში აუცილებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ის გაწეულია განსაკუთრებული აქტივის შესაძენად. განსაკუთრებული აქტივები ის აქტივებია, რომლის დანიშნულებისამებრ გამოსაყენებლად ან გასაყიდად მოსამზადებლად დროის მნიშვნელოვანი პერიოდია საჭირო.

ძირითადი საშუალებების კრედიტით შეძენისას, შეძენილი აქტივის ღირებულების გადახდა გარიგების პირობების მიხედვით შეიძლება მოხდეს ერთბაშად ან ნაწილობრივ. მაშასადამე ბუღალტრულად ვალდებულება უნდა აისახოს მოსალოდნელი ფულადი გადახდებით და განისაზღვროს გადასახდელი თანხის მიმდინარე ღირებულება.

მაგალითი: საწარმომ შეიძინა კრედიტით ოფისის აღჭურვილობა, რომლის ღირებულება 16000 ლარია. ხელშეკრულების თანახმად მთლიანი თანხის 50% გადაიხდება მაშინვე, ხოლო დარჩენილი 50% დაიფარება ორი წლის განმავლობაში პირველი წლის ბოლოს 30%, მეორე წლის ბოლოს 20%. წლიური საპროცენტო განაკვეთია 10%.

ეს ოპერაცია აისახება შემდეგი ბუღალტრული გატარებით:

1. შეძენილი აქტივების შემოსავალში აღიარება:

დებეტი - ოფისის აღჭურვილობა 16000

კრედიტი - ფულადი საშუალებები 8000

კრედიტი - სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები 4000

კრედიტი - სხვა გრძელვადიანი ვალდებულებები 4000

2. პირველი წლის ბოლოს სესხის პროცენტის დარიცხვა:

დებეტი - საპროცენტო ხარჯები 800

კრედიტი - გადასახდელი პროცენტები 800

3. პირველი წლის ბოლოს მიმდინარე ვალდებულებების დაფარვა:

დებეტი - სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები 4000

დებეტი - გადასახდელი პროცენტები 800

კრედიტი - ფულადი საშუალებები 4800

4. პირველი წლის ბოლოს გრძელვადიანი ვალდებულებების მიმდინარე ანგარიშზე გადმოტანა:

დებეტი - სხვა გრძელვადიანი ვალდებულებები 4000

კრედიტი - გრძელვადიანი ვალდებულების მიმდინარე ნაწილი 4000

5. მეორე წლის ბოლოს სესხის პროცენტის დარიცხვა:

დებეტი - საპროცენტო ხარჯები 400

კრედიტი - გადასახდელი პროცენტები 400

6. მეორე წლის ბოლოს დარჩენილი ვალდებულებების დაფარვა:

დებეტი - სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები 4000

დებეტი - გადასახდელი პროცენტები 400

კრედიტი - ფულადი საშუალებები 4400

საწარმოს შეუძლია ძირითადი საშუალებების დამზადება მოახდინოს **საკუთარი ძალებით**. ბასს-ის მიხედვით საკუთარი ძალებით შექმნილი აქტივის თვითღირებულების განსაზღვრა ხდება შექმნილი აქტივების ანალოგიურად. მასში შეიტანება ყველა პირდაპირი ხარჯი: მასალების ხარჯი, მუშების ხელფასი,

ინსტრუქტორების შრომის ანაზღაურება, ადგილის მომზადების ხარჯი და ასევე ზედნადები ხარჯები, ოღონდ მხოლოდ მაშინ, თუ უშუალოდაა დაკავშირებული კონკრეტული აქტივის მშენებლობასთან. თუ საწარმო ანალოგიურ აქტივებს გასაყიდად აწარმოებს, მაშინ აქტივის საბალანსო ღირებულება გასაყიდად წარმოებული ანალოგიური აქტივის თვითღირებულების ტოლია. აქტივის თვითღირებულებაში არ ჩაირთვება ნედლეულისა და მასალების, ასევე შრომის ანაზღაურების ზენორმატიული დანახარჯები და მოსალოდნელი შიდა მოგების თანხა. რაც შეეხება სესხის პროცენტს, იგი შეიძლება აღიარდეს ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულების ელემენტად ბასს 23-ის მოთხოვნების შესაბამისად.

მშენებლობასთან დაკავშირებული ხარჯებისა და დამთავრებული ობიექტის თვითღირებულების განსაზღვრის მიზნით, ბუღალტრულ აღრიცხვაში ცალკე დამოუკიდებელი ანგარიში „დამთავრებული მშენებლობა“ გამოიყენება, რომლის დებეტშიც აისახება გაწეული ხარჯები. მშენებლობის დასრულების შემდეგ, დანახარჯების საერთო ჯამით დაკრედიტდება ანგარიში „დამთავრებული მშენებლობა“ და თანხა, რომელიც დამთავრებული ობიექტის თვითღირებულებას წარმოადგენს, გადაიტანება კონკრეტული ძირითადი საშუალების დებეტში. ანალოგიურად ხდება საკუთარი ძალებით შექმნილი ყველა ძირითადი საშუალების საბალანსო ღირებულების განსაზღვრა და აღრიცხვა.

ძირითადი საშუალებების ერთი ან რამდენიმე ერთეული შეიძლება შექმნილ იქნეს არაფულად აქტივებზე გაცვლით, ან კომბინირებულად როგორც ფულად ისე არაფულად აქტივებზე გაცვლის გზით. ასეთი ძირითადი საშუალებები ფასდება რეალური ღირებულებით გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც:

- გაცვლის ოპერაციას არა აქვს კომერციული შინაარსი;
- არც მიღებული და არც გაცემული აქტივების რეალური ღირებულება არ არის რეალურად შეფასებადი.

თუ შექმნილი აქტივი რეალური ღირებულებით არაა შეფასებული, მისი თვითღირებულება განისაზღვრება გაცემული აქტივის საბალანსო ღირებულებით.

საწარმოსთვის გაცვლითი ოპერაციების კომერციულ საფუძველს განსაზღვრავს ის, თუ აქტივის მიღებით რამდენად შეიცვლება მისი მომავალი ფულადი ნაკადები. მიიჩნევა, რომ გაცვლის ოპერაციას აქვს კომერციული შინაარსი, თუ:

- მიღებული აქტივების ფულადი ნაკადების სტრუქტურა (რისკი, დრო, თანხა) განსხვავდება გაცემული აქტივების ფულადი ნაკადების სტრუქტურისაგან;
- მნიშვნელოვნად განსხვავებული გაცვლილი აქტივების რეალური ღირებულება.

საწარმომ შეიძლება ძირითადი საშუალებები მიიღოს უსასყიდლოდ. უსასყიდლოდ მიღების შემთხვევებია ჩუქება ფიზიკური ან იურიდიული პირის მიერ და სახელმწიფო გრანტები, რომელიც არ ექვემდებარება უკან დაბრუნებას.

გრანტი არის სახელმწიფოს მიერ გაწეული დახმარება საწარმოსთვის რესურსების გადაცემის სახით, საწარმოს სამეურნეო საქმიანობასთან დაკავშირებული წარსულში მომხდარი ან მომავალში შესასრულებელი პირობების სანაცვლოდ. სახელმწიფო გრანტი არ გულისხმობს ისეთ დახმარებებს, რომელთა ღირებულების დასაბუთებული განსაზღვრა შეუძლებელია, აგრეთვე სახელმწიფოსთან დადებულ ისეთ გარიგებებს, რომლებიც არ განსხვავდება საწარმოს ჩვეულებრივი კომერციული გარიგებისგან.

სახელმწიფო გრანტებისა და დახმარებების ბუღალტრული აღრიცხვა რეგულირდება ბასს 20¹-ის შესაბამისად.

უსასყიდლოდ მიღებული ძირითადი საშუალებები მათ შორის გრანტები, როგორც წესი ფასდება რეალური ღირებულებით, ხოლო თუ რეალური ღირებულების დადგენა შეუძლებელია, მაშინ აქტივი ფასდება ალტერნატიული მეთოდით ნომინალური ღირებულებით.

ფინანსურ ანგარიშგებაში არსებობს აქტივებთან დაკავშირებული გრანტის ასახვის ორი ალტერნატიული მეთოდი:

- გრანტის ასახვა მომავალი პერიოდის შემოსავლის სახით;

¹ ბასს 20 - ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტი, გამოიყენება სახელმწიფო გრანტების ბუღალტრული აღრიცხვისა და განმარტებითი შენიშვნებისათვის, აგრეთვე სხვა სახის სახელმწიფო დახმარებების განმარტებითი შენიშვნებისათვის.

- გრანტის გამოქვითვა მოცემული აქტივის საბალანსო ღირებულების შესაბამისად.

პირველი მეთოდი გულისხმობს გრანტის ასახვას გადავადებული შემოსავლის სახით, რომელიც აღიარდება მოგებაში ან ზარალში სისტემატურ და რაციონალურ საფუძველზე, აქტივის სასარგებლო მომსახურების მთელი ვადის განმავლობაში.

ამორტიზებად აქტივებთან დაკავშირებული გრანტების მიღება მოითხოვს საწარმომ ბუღალტრულ აღრიცხვაში ასახოს: გრანტის მიღების, მიღებულ აქტივზე მისი ექსპლუატაციის დაწყებიდან ყოველწლიურად ცვეთისა და ამორტიზაციის დარიცხვის, და იმავდროულად გრანტის შესაბამისი ნაწილის შემოსავლად აღიარების ოპერაციები. ცვეთისა და ამორტიზაციის დარიცხვა უნდა მოხდეს წრფივი ჩამოწერის მეთოდით, რის შედეგადაც ანგარიში „გადავადებული შემოსავალი“ განულდება და დაიხურება.

რაც შეეხება მეორე მეთოდს, მისი მიხედვით ხდება გრანტის გამოქვითვა მოცემული აქტივის საბალანსო ღირებულების შესაბამისად. გრანტი აღიარდება მოგებაში ან ზარალში ცვეთადი აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში, დაჩქარებული ცვეთის მეთოდით.

მაგალითი: საწარმომ გრანტით მიიღო ავეჯი, რომელიც შეფასებულია 10000 ლარად. მისი გამოყენების ვადა განისაზღვრა 5 წლით, საწარმო იყენებს ამორტიზაციის გაანგარიშების წრფივ მეთოდს.

ეს ოპერაცია აისახება შემდეგი ბუღალტრული გატარებით:

1. გრანტის მიღება

დებეტი - ავეჯი და სხვა ინვენტარი 10000

კრედიტი - გადავადებული შემოსავლები 10000

2. ცვეთისა და ამორტიზაციის დარიცხვა

დებეტი - ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯი 2000

კრედიტი - ავეჯის ცვეთა 2000

3. გრანტის აღიარება შემოსავლად

დებეტი - გადავადებული შემოსავლები 2000

კრედიტი - სხვა არასაოპერაციო შემოსავლები 2000

ყოველწლიურად აქტივის საბალანსო ღირებულება მცირდება ცვეთის თანხით, რომელიც არ აღიარდება ხარჯად, და შესაბამისად, იგივე თანხით გაიზრდება საანგარიშგებო პერიოდის შემოსავალი.

დებეტი - გადავადებული შემოსავლები

კრედიტი - ავეჯის ცვეთა

ისეთ არამორტიზებად აქტივებთან დაკავშირებული გრანტები, როგორცაა მიწა, შეიძლება აგრეთვე გულისხმობდეს გარკვეული ვალდებულებების შესრულებას. ასეთი გრანტები აღიარდება მოგებაში ან ზარალში იმ საანგარიშგებო პერიოდებში, როდესაც გაწეული იქნება ამ ვალდებულებების შესრულებასთან დაკავშირებული დანახარჯები.

საწარმოს, ეკონომიკური საქმიანობის განხორციელებისას შეიძლება წარმოექმნას საჭიროება ისეთ ძირითად საშუალებებზე, რომლებიც საკუთრებაში არ გააჩნია ან მისთვის ასეთი საშუალებების შეძენა ნაკლებ-ეფექტური და ეკონომიკურად არამომგებიანია. ასეთ პირობებში საწარმოს შეუძლია საჭირო ძირითადი საშუალებები აიღოს **იჯარით**. იჯარასთან დაკავშირებულ ოპერაციებს არეგულირებს ფასს 16², რომლის მიხედვით იჯარა არის მხარეთა ურთიერთშეთანხმება, რომლის თანახმად იჯარის გამცემი გარკვეული საზღაურის სანაცვლოდ იჯარის მიმღებს გადასცემს აქტივის გამოყენების უფლებას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადის განმავლობაში. იჯარის გამცემს ეწოდება მეიჯარე, ხოლო მიმღებს - მოიჯარე.

ბასს-ის მიხედვით იჯარა იყოფა ფინანსურ და ჩვეულებრივ იჯარად. იჯარის კლასიფიკაცია ხდება იჯარის დასაწყისში, რომელიც არის საიჯარო ხელშეკრულების

² **ფასს 16 იჯარა** - ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი, მისი მიზანია მოიჯარეებისა და მეიჯარეებისათვის განსაზღვროს შესაბამისი ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკა და იჯარასთან დაკავშირებული განმარტებითი მოთხოვნები.

დადების თარიღსა და მხარეების იმიერ იჯარის ძირითად პირობებთან დაკავშირებული ვალდებულებების აღების თარიღს შორის ადრინდელი.

ფინანსური იჯარა გულისხმობს აქტივთან დაკავშირებული ყველა მნიშვნელოვანი რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას მოიჯარეზე. საკუთრების უფლება შეიძლება გადაეცეს ან არა.

ჩვეულებრივი იჯარა ისეთი ტიპის იჯარაა, რომელიც არ შეიძლება ჩაითვალოს ფინანსურ იჯარად და რომელიც არ ითვალისწინებს აქტივის ფლობასთან დაკავშირებული ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას.

იჯარით შეიძლება აღებულ იქნას მიწა და შენობა-ნაგებობები. მათი ფინანსურ და ჩვეულებრივ იჯარად კლასიფიკაციის მიზნით, საიჯარო ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიწისა და შენობა-ნაგებობების ელემენტები ცალ-ცალკე განიხილება. იმ შემთხვევაში, როდესაც ორივე ელემენტზე, საკუთრების უფლება იჯარის ვადის ბოლოს მოიჯარეს გადაეცემა, მიწაც და შენობა-ნაგებობებიც განიხილება ერთ იჯარად და კლასიფიცირდება, როგორც ფინანსური იჯარა. იმის გამო, რომ მიწას გააჩნია განუსაზღვრელი ეკონომიკური მომსახურების ვადა, მისი ელემენტი კლასიფიცირდება ჩვეულებრივ იჯარად, თუ მოსალოდნელი არაა რომ იჯარის ვადის ბოლოს საკუთრების უფლება მოიჯარეს გადაეცემა. რაც შეეხება შენობა-ნაგებობების იჯარას, მისი ელემენტი კლასიფიცირდება ფინანსურ ან ჩვეულებრივ იჯარად ხელშეკრულებით და ფასს 16-ით აღიარებული მოთხოვნების შესაბამისად.

ფასს 16-ის მიხედვით, იჯარის ვადის დასაწყისისათვის მოიჯარემ ფინანსური იჯარა ბალანსში უნდა აღიაროს როგორც აქტივები და ვალდებულებები საიჯარო აქტივის რეალური ღირებულების ტოლი თანხით ან, თუ მასზე ნაკლებია, მინიმალური საიჯარო გადასახდელების დისკონტირებული ღირებულებით, რომლებიც გაანგარიშებულია იჯარის დასაწყისში. მინიმალური საიჯარო გადასახდელების დისკონტირებული ღირებულების გამოსაანგარიშებელი დისკონტირების განაკვეთი იქნება საიჯარო ხელშეკრულებაში ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთი, თუ მისი დადგენა შესაძლებელია; თუ არა, გამოყენებულ უნდა იქნეს მოიჯარის ზღვრული

სასესხო საპროცენტო განაკვეთი. მოიჯარის ნებისმიერი თავდაპირველი პირდაპირი დანახარჯი დაემატება აქტივის სახით აღიარებულ თანხას.

სამეურნეო ოპერაციებისა და სხვა მოვლენების ასახვა და წარდგენა ფინანსურ ანგარიშგებაში უნდა ეყრდნობოდეს ოპერაციის ბუნებას, ფინანსურ არსს და არა უბრალოდ მის სამართლებრივ ფორმას. ფინანსური იჯარის არსებობის დამადასტურებელი არსებითი ნიშანია ის, რომ მოიჯარეს გადაეცემა აქტივის გამოყენებით მიღებული ეკონომიკური სარგებელი, საიჯარო აქტივის ეკონომიკური მომსახურების ვადის ძირითადი ნაწილის განმავლობაში, რათა აქტივის მიახლოებითი რეალური ღირებულების შესაბამისად, მან დაფაროს საიჯარო ვალდებულებები და სხვა დაკავშირებული ფინანსური ხარჯები. თუ ფინანსური იჯარა არ არის ასახული მოიჯარის ბალანსში, ეს ნიშნავს საწარმოს ეკონომიკური რესურსებისა და ვალდებულებების შემცირებას. იჯარის ვადის დასაწყისში იჯარასთან დაკავშირებული აქტივი და ვალდებულება ერთი და იმავე თანხით უნდა აისახოს ბალანსში, სადაც სხვა ვალდებულებების მსგავსად საიჯარო ვალდებულებებიც შეიძლება გაიმიჯნოს მოკლევადიან და გრძელვადიან ვალდებულებებად.

მინიმალური საიჯარო გადასახდელები უნდა განაწილდეს დარიცხული ფინანსური ხარჯებისა და გადაუხდელი ვალდებულებების შემცირების პროპორციულად. ფინანსური ხარჯები იჯარის მთლიანი ვადის განმავლობაში, თითოეულ საანგარიშგებო პერიოდზე ისე უნდა განაწილდეს, რომ წარმოიქმნას მუდმივი პერიოდული საპროცენტო განაკვეთი, თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ვალდებულებების ნაშთის მიმართ. პირობითი საიჯარო გადასახდელები ხარჯად აღიარდება იმ პერიოდში, როდესაც იქნა გაწეული.

ფინანსური იჯარა ფინანსურ ხარჯებთან ერთად წარმოშობს აქტივის ცვეთისა ამორტიზაციის ხარჯებს ყოველ საანგარიშგებო პერიოდში. მოიჯარის მიერ აღებული ძირითადი საშუალების ცვეთისა და ამორტიზაციის აღრიცხვის წესი საკუთარი აქტივების მიმართ გამოყენებული ცვეთის დარიცხვის პოლიტიკას უნდა შეესაბამებოდეს. თუ ხელშეკრულება ითვალისწინებს იჯარის ვადის გასვლის შემდეგ აქტივზე საკუთრების უფლების გადაცემას მოიჯარეზე, აქტივი მთლიანად უნდა

ჩამოიწეროს იჯარის ვადასა და მის სასარგებლო მომსახურების თანხას შორის უმცირესი პერიოდის განმავლობაში.

საიჯარო აქტივის ცვეთის ანარიცხებისა და ფინანსური ხარჯების შესაბამისი თანხების ჯამი, როგორც წესი, არ ემთხვევა მოცემული საანგარიშგებო პერიოდის საიჯარო გადასახდელების ვალდებულებას. ამიტომ მიზანშეწონილი არ არის გადახდას დაქვემდებარებული საიჯარო გადასახდელების აღიარება ხარჯის სახით. შესაბამისად, ნაკლებად მოსალოდნელია, რომ აქტივებისა და მათი შესაბამისი ვალდებულებების თანხები იჯარის ვადის დასაწყისის შემდგომ პერიოდში ერთმანეთის ტოლი აღმოჩნდეს.

ჩვეულებრივი იჯარის დროს, საიჯარო გადასახდელების ხარჯად აღიარება ისეთი მომსახურების დანახარჯების გარდა, როგორცაა დაზღვევა და აქტივის მიმდინარე ტექნომსახურება ხდება წრფივი მეთოდით, თუ სხვა სისტემატური მეთოდი უფრო ადეკვატურად არ ასახავს სარგებლის გამომყენებლის მიერ სარგებლის მიღების პერიოდულობას, თუნდაც საიჯარო გადასახდელების გადახდა არ ეფუძნებოდეს ამავე პერიოდულობას.

მაგალითი: საწარმომ ფინანსური იჯარით მიიღო შენობა შემდეგი პირობით: ვალდებულების საერთო თანხა - 40000 ლარი, იჯარის ვადა 4 წელი, მიმდინარე საპროცენტო განაკვეთი 12%, ყოველწლიური გადასახდელი თანხა 10000 ლარი, დისკონტის კოეფიციენტი 3,0373, საიჯარო ვალდებულებების მიმდინარე ღირებულება 30373 ლარი.

ეს ოპერაცია აისახება შემდეგი ბუღალტრული გატარებით:

გაანგარიშება:

| წლები | ყოველწლიურად მისაღები თანხა | | | საიჯარო მოთხოვნები |
|------------|-----------------------------|-----------------------------|------------------|--------------------|
| | სულ | მათ შორის | | |
| | | საპროცენტო შემოსავალი (12%) | საიჯარო მოთხოვნა | |
| | | | | 30373 |
| 1 წელი | 10000 | 3645 | 6355 | 24018 |
| 2 წელი | 10000 | 2882 | 7118 | 16900 |
| 3 წელი | 10000 | 2028 | 7972 | 8928 |
| 4 წელი | 10000 | 1072 | 8928 | 0 |
| სულ | 40000 | 9627 | 30373 | |

1. აქტივის მიღება იჯარით

დებეტი - შენობები 30373

კრედიტი - ვალდებულებები ფინანსურ იჯარაზე 30373

2. გრძელვადიანი ვალდებულებების მიმდინარე ნაწილის გამოყოფა

დებეტი - ვალდებულებები ფინანსურ იჯარაზე 6355

კრედიტი - ფინანსური იჯარის მიმდინარე ნაწილი 6355

3. ფინანსური ხარჯის აღიარება

დებეტი - საპროცენტო ხარჯი 3645

კრედიტი - გადასახდელი პროცენტები 3645

4. საიჯარო გადასახდელის გადახდა

დებეტი - ფინანსური იჯარის მიმდინარე ნაწილი 6355

დებეტი - გადასახდელი პროცენტები 3645

კრედიტი - ფულადი საშუალებები 10000

საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, იჯარით აღებული აქტივს დაერიცხება ცვეთა საწარმოს მიერ შემუშავებული პოლიტიკის მიხედვით

5. დებეტი - ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯები x

კრედიტი - შენობის ცვეთა x

პირველი ოპერაციის გარდა, ყოველწლიურად გვექნება მსგავსი გატარებები საიჯარო პერიოდის მთელი ვადის განმავლობაში.

1.3 ძირითადი საშუალებების ცვეთისა და გადაფასების აღრიცხვა

ძირითადი საშუალებების ცვეთის აღრიცხვა

ძირითადი საშუალებები ექსპლოატაციის პროცესში ცვდებიან, რის გამოც საჭირო ხდება მათი ახლით შეცვლა ან რემონტი.

ცვეთა ერიცხება ყველა სახის ძირითად საშუალებას, რომელსაც შეზღუდული მომსახურების ვადა გააჩნია. ასეთებია: შენობები, ნაგებობები, მანქანა-დანადგარები, ავეჯი, ოფისის აღჭურვილობა და სხვა. იმის გამო, რომ მიწას გააჩნია შეუზღუდავი მომსახურების ვადა მისი ცვეთა არ ხდება. საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, გარდა მიწისა, ცვეთა არ ერიცხება: ხელოვნების ნიმუშებს, სამუზეუმო ექსპონატებს, ისტორიული მნიშვნელობის ობიექტებს, საბიბლიოთეკო ფონდებს, პროდუქტიულ პირუტყვს. ასევე, ამორტიზაცია არ ერიცხება 1000 ლარამდე

ღირებულების ძირითად საშუალებებს და ბიოლოგიურ აქტივებს. 1000 ლარამდე ღირებულების ძირითადი საშუალება მთლიანად გამოიქვითება ერთობლივი შემოსავლიდან იმ საანგარიშგებო წელს, როდესაც იგი ექსპლუატაციაში შევიდა, ხოლო ბიოლოგიურ აქტივზე გაწეული ხარჯი გამოიქვითება იმ საანგარიშგებო წელს, როცა იგი ფაქტობრივად იქნა გაწეული.

ცვეთა არის აქტივის ცვეთადი ღირებულების მოხმარებული ნაწილის სისტემატური განაწილება, მისი მომსახურების ვადის განმავლობაში.

ცვეთადი ღირებულება არის აქტივის თვითღირებულება, ნარჩენი ღირებულების გამოკლებით.

ნარჩენი ღირებულება არის შეფასებითი თანხა, რომელსაც საწარმო ამჟამად მიიღებდა აქტივის გაყიდვიდან, გაყიდვისათვის საჭირო დანახარჯების გამოკლებით, თუ აქტივს უკვე ექნებოდა მისი სასარგებლო მომსახურების ვადის ბოლოს მოსალოდნელი ასაკი და მდგომარეობა. ხშირად აქტივის ნარჩენი ღირებულება უმნიშვნელოა და ამდენად, ცვეთადი ღირებულების გაანგარიშებისას არარსებითია.

აქტივის ცვეთის თანხა უნდა განაწილდეს სისტემატურ საფუძველზე, მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში, შესაბამისად ძირითადი საშუალებების ცვეთის თანხის გასაანგარიშებლად აქტივის თვითღირებულებასთან ერთად, დიდი მნიშვნელობა ენიჭება აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრას, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა განისაზღვრება:

- პერიოდით, რომლის განმავლობაში მოსალოდნელია საწარმოს მიერ აქტივის გამოყენება; ან
- პროდუქციის ან მსგავსი ნაწარმის რაოდენობით, რომლის მიღებაც მოსალოდნელია საწარმოს მიერ მოცემული აქტივის გამოყენებით.

საწარმოს მიერ ძირითად საშუალებებში განივთებული ეკონომიკური სარგებლის გამოყენება აქტივის ექსპლოატაციის გზით ხდება. თუმცა, ისეთი ფაქტორები, როგორცაა ტექნიკური მოძველება ან ფიზიკური ცვეთა, ხშირად იწვევს აქტივისგან

მოსალოდნელი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას. ამიტომ აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის დადგენისას უნდა გავითვალისწინოთ შემდეგი ფაქტორები:

- საწარმოს მიერ აქტივის მოსალოდნელი გამოყენება;
- სავარაუდო ფიზიკური ცვეთა;
- ტექნიკური ან კომერციული მოძველება;
- აქტივის გამოყენების საკანონმდებლო ან მსგავსი შეზღუდვები.

აქტივზე ცვეთის დარიცხვა იწყება, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება ხელმძღვანელობის მიერ დასახული მიზნებისათვის და წყდება იმ დღიდან, რაც იგი კლასიფიცირდება გასაყიდად გამიზნულად ან მას შემდეგ რაც წყდება ამ აქტივის აღიარება. ამგვარად, არ წყდება ცვეთის დარიცხვა, როდესაც აქტივი ხდება გამოუყენებელი, ან აქტიური მოხმარებიდან გამოსული, სანამ აქტივს სრულად არ დაერიცხება ცვეთა. ამასთან, ცვეთის ხარჯი შესაძლოა იყოს ნული, სანამ პროდუქცია არ იქნება გამოშვებული.

ძირითადი საშუალების ყოველი ერთეულის ნაწილს, რომელსაც გააჩნია მნიშვნელოვანი ღირებულება ერთეულის მთლიან ღირებულებაში, ცვეთა ცალ-ცალკე უნდა დაერიცხოს.

საწარმო ადგენს ძირითადი საშუალებების ერთეულის თავდაპირველად აღიარებული მნიშვნელოვანი წილის მოცულობას და ცვეთას არიცხავს ცალ-ცალკე. მაგალითად, თვითმფრინავი და მისი ძრავები უნდა ჩაითვალოს განსხვავებულად ცვეთად აქტივებად, მიუხედავად იმისა, იგი საკუთრებაშია თუ ფინანსური იჯარითაა შეძენილი.

მიწა და შენობები განიხილება დამოუკიდებელ აქტივებად და აღირიცხება ცალ-ცალკე, მათი ერთად შეძენის შემთხვევაშიც კი. რადგან მიწას გააჩნია შეუზღუდავი მომსახურების ვადა, მისი ცვეთა არ ხდება, შენობები კი ცვეთადი აქტივებია, მათ შეზღუდული მომსახურების ვადის გამო. მიწის ღირებულების გაზრდა არ ახდენს გავლენას მასზე განლაგებული შენობების ცვეთის განსაზღვრაზე.

ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა ხდება ნარჩენ ღირებულებამდე, სანამ ძირითადი საშუალებების ცვეთადი ღირებულება ნულის ტოლი არ გახდება. თუმცა, ძირითადი საშუალებების ცვეთის თანხის განსაზღვრისას ნარჩენი ღირებულების მხედველობაში მიღება ყოველთვის აუცილებელი არ არის.

ცვეთის გაანგარიშებისას გამოყენებულმა მეთოდმა უნდა ასახოს ამ აქტივიდან მისაღები ეკონომიკური სარგებლის მიღების ხასიათი. იმის გამო, რომ ამ სარგებელში მნიშვნელოვანი ცვლილებები შეიძლება მოხდეს, საწარმოს ძირითადი საშუალებების ცვეთის დარიცხვის მეთოდი პერიოდულად, ფინანსური წლის ბოლოს მაინც უნდა გადასინჯოს.

ბასს-ის მიხედვით ცნობილია ძირითადი საშუალებებისათვის ცვეთის თანხის გაანგარიშების შემდეგი მეთოდები:

- წრფივი ცვეთის მეთოდი;
- შემცირებადი ნაშთის (დაჩქარებული ცვეთის) მეთოდი;
- რიცხვთა ჯამის მეთოდი;
- მწარმოებლურობის პროპორციული ცვეთის მეთოდი.

წრფივი ცვეთის მეთოდი გულისხმობს ცვეთის ერთი და იმავე თანხის დარიცხვას აქტივის სასარგებლო მომსახურების მთელი ვადის განმავლობაში. ამ მეთოდის გამოყენება მიზანშეწონილია იმ აქტივების მიმართ, რომლებსაც მეტნაკლებად თანაბრად მოაქვთ ეკონომიკური სარგებელი მოხმარების მთელი ვადის განმავლობაში. გაანგარიშების ბაზას წარმოადგენს აქტივის პირვანდელი ღირებულება.

წრფივი ცვეთის მეთოდის გამოყენების დროს ცვეთის წლიური ნორმა გაიანგარიშება ფორმულით:

$$\text{ცვეთის წლიური ნორმა} = \frac{\text{თვითღირებულება} - \text{ნარჩენი ღირებულება}}{\text{სასარგებლო მომსახურების ვადა}}$$

პრაქტიკაში იშვიათია შემთხვევა, როცა ძირითადი საშუალებების შექენა ემთხვევა საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისს ან ბოლოს. ძირითადად, მათი შექენა ხდება მაშინ, როცა ეს აუცილებელია და მათი გაყიდვა ან ჩამოწერა არაეფექტურია. ამიტომ ხშირად

აუცილებელია ცვეთის ოდენობა განისაზღვროს წლის ამა თუ იმ თვისათვის. მაგალითად თუ ძირითადი საშუალების ყიდვა მოხდა 1 ოქტომბერს, პირველ წელს აუცილებელია ამორტიზაცია გაანგარიშებულ იყოს სამ თვეზე, ანუ წლის 3/12-ის ოდენობით.

ცვეთის წლიური ნორმა შეიძლება პროცენტებითაც გამოისახოს.

იმ შემთხვევაში, თუ ნარჩენი ღირებულება არ განისაზღვრება, წლიური ცვეთა გაანგარიშება აქტივის პირვანდელი ღირებულების გაყოფით სასარგებლო მომსახურების ვადასთან.

შემცირებადი ნაშთის მეთოდი გულისხმობს ცვეთის თანხის გაანგარიშებას წინასწარ განსაზღვრული ერთი და იგივე საპროცენტო განაკვეთით - პირველ წელს აქტივის თვითღირებულების მიხედვით, ხოლო შემდგომში საბალანსო ღირებულებით. რომელიც წარმოადგენს სხვაობას აქტივის პირვანდელ ღირებულებასა და დაგროვილი ცვეთის თანხას შორის. ამ მეთოდის გამოყენება მიზანშეწონილია იმ აქტივების მიმართ, რომლებიც მომსახურების პირველ წლებში იძლევიან მეტ ეკონომიკურ სარგებელს, მორალურად და ფიზიკურად მეტად ცვდებიან.

შემცირებადი ნაშთის მეთოდის გამოყენებით დროს საჭიროა შერჩეულ იქნეს ოპტიმალურად მისაღები პროცენტი. ცხადია, აქტივის ღირებულების სრულად ამორტიზება ვერ მოხერხდება, თუმცა მიზანი მაინც იქნება მიღწეული. რადგან ამორტიზაციის ძირითადი თანხა ექსპლუატაციის პირველ წლებში დაირიცხება. ამ მეთოდის დროს ძირითად საშუალებებს ცვეთა ერიცხებათ არა პირვანდელი, არამედ ნარჩენი ღირებულებიდან. ამის გამო საამორტიზაციო თანხა ყოველწლიურად მცირდება, ხოლო საექსპლუატაციო ვადა იზრდება.

რიცხვთა ჯამის მეთოდი წარმოადგენს შემცირებადი ნაშთის მეთოდს ნაირსახეობას, რადგან ამ მეთოდის მიზანია აქტივების მომსახურების პირველივე წლებში ცვეთის მეტი თანხის დარიცხვა, ვიდრე შემდგომ წლებში.

ამ მეთოდის გამოყენებისას აუცილებელია ვიცოდეთ აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, რის შემდეგაც გამოითვლება წლების რიცხვთა ჯამი შემდეგი ფორმულით:

$$Q=N \times (N+1) / 2$$

სადაც, Q არის რიცხვთა ჯამი

N-საექსპლუატაციო ვადა.

ამ ფორმულის გამოყენებით ამორტიზაციის წლიური ნორმა გამოითვლება ფორმულით:

$$\text{წლიური ცვეთის თანხა} = \frac{\text{ცვეთადი ღირებულება} \times \text{დარჩენილი წლების რაოდენობა}}{\text{წლების რიცხვთა ჯამი}}$$

მწარმოებლურობის პროპორციული ცვეთის მეთოდი ნიშნავს ცვეთის დარიცხვას აქტივების მოსალოდნელი გამოყენების ან წარმოებული პროდუქციის პროპორციულად. რაც მეტია აქტივის მწარმოებლურობა, მით უფრო მეტ ეკონომიკურ სარგებელს ვიღებთ მისგან და შესაბამისად, მეტი ცვეთა დაერიცხება.

მწარმოებლურობის პროპორციული ცვეთის მეთოდის გამოყენების დროს ცვეთის თანხა გაიანგარიშება ფორმულით;

ცვეთის თანხა მწარმოებლურობის ერთეულზე =

$$\frac{\text{თვითღირებულება} - \text{ნარჩენი ღირებულება}}{\text{აქტივის მწარმოებლურობა მომსახურების მთელი ვადის განმავლობაში}}$$

ეს სიდიდე გვიჩვენებს აქტივის ცვეთადი ღირებულების რა ნაწილი მოდის მწარმოებლურობის ერთ ერთეულზე. მწარმოებლურობა შეიძლება გაიზომოს დროით, გამოშვებული პროდუქციით და სხვა.

საწარმო დამოუკიდებლად ირჩევს მისთვის შესაფერის მეთოდს, რომელიც მუდმივად უნდა გამოიყენებოდეს პერიოდიდან პერიოდამდე მანამ, სანამ არ შეიცვლება მოცემული აქტივიდან ეკონომიკური სარგებლის გამოყენების მოსალოდნელი მოდელი.

ცვეთა წარმოადგენს რა აქტივის მომსახურების ვადის განმავლობაში მასზე მიკუთვნებული ხარჯების ნაწილს, საწარმოს შერჩეული მეთოდით გაანგარიშებული

ცვეთის თანხით მოხდება ძირითადი საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა , ანუ ცვეთის თანხის ხარჯად აღიარება და ყოველი საანგარიშგებო წლის ბოლოს ბუღალტრულად აისახება შემდეგი გატარებებით:

1. ძირითადი საშუალებების ცვეთის დარიცხვა:

დებეტი - ცვეთა და ამორტიზაცია ან დაუმთავრებელი წარმოება

კრედიტი - ძირითადი საშუალებების ცვეთა

2. ცვეთის ჩამოწერა:

დებეტი - ძირითადი საშუალებების ცვეთა

კრედიტი - ძირითადი საშუალებები

აქედან გამომდინარე, ცვეთის თანხა არ აისახება თვით ძირითადი საშუალებების ანგარიშზე. ძირითადი საშუალებები შესაბამის ანგარიშზე რჩება პირვანდელი ღირებულებით, ხოლო ბუღალტრულ ბალანსში აისახება საბალანსო ღირებულებით. რაც შეეხება დაგროვილ ცვეთას, იგი ყოველწლიურად აისახება სრული შემოსავლების ანგარიშგებაში ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯის სახით. ამრიგად, აქტივის ღირებულება გადანაწილდება მისი მომსახურების მთელ პერიოდზე, შესაბამისობის პრინციპის საფუძველზე.

ძირითადი საშუალებების გადაფასების აღრიცხვა

ბასს-ის მიხედვით, აქტივად აღიარების შემდეგ, საწარმომ ძირითადი საშუალებების ესა თუ ის ერთეული, რომლის რეალური ღირებულების განსაზღვრა შესაძლებელია საიმედოდ, უნდა ასახოს გადაფასებული თანხით, რომელიც გადაფასების მომენტისათვის არსებული აქტივის რეალური ღირებულების ტოლია, შემდგომში დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის თანხის გამოკლებით.

გადაფასება რეგულარულად უნდა ტარდებოდეს იმისათვის, რომ აქტივის საბალანსო ღირებულება არსებითად არ განსხვავდებოდეს მისი რეალური ღირებულებისაგან ბალანსის შედგენის თარიღისათვის.

გადაფასების სიხშირე დამოკიდებულია ძირითადი საშუალებების რეალური ღირებულების ცვლილებებზე. როდესაც გადაფასებული აქტივის რეალური ღირებულება არსებითად განსხვავდება მისი საბალანსო ღირებულებისაგან, აუცილებელია მისი შემდგომი გადაფასება. ზოგიერთი აქტივისათვის, რომელთა რეალური ღირებულება სწრაფ და მნიშვნელოვან ცვლილებებს განიცდის, აუცილებელია ყოველწლიური გადაფასება, ხოლო შედარებით სტაბილური საბაზრო ფასების მქონე აქტივებისათვის, საკმარისია გადაფასება ჩატარდეს 3-5 წელიწადში ერთხელ.

როდესაც ძირითადი საშუალებების გადაფასება ხდება, აქტივის საბალანსო ღირებულება კორექტირდება გადაფასებულ ღირებულებამდე. გადაფასების თარიღისათვის აქტივი აისახება შემდეგი ორი მეთოდის გამოყენებით:

1. აქტივის პირვანდელი ღირებულება კორექტირდება იმგვარად, რომ შესაბამისობაში იყოს აქტივის საბალანსო ღირებულების გადაფასებასთან. გადაფასების თარიღისათვის არსებული დაგროვილი ცვეთა კორექტირდება შემდეგ ორ სიდიდეს შორის სხვაობით: აქტივის პირვანდელი ღირებულება ან საბალანსო ღირებულება დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლებით; ან

2. დაგროვილი ცვეთის თანხა აკლდება აქტივის პირვანდელ ღირებულებას.

მსგავსი ბუნებისა და ეკონომიკური დანიშნულების აქტივების გადაფასება ერთდროულად უნდა მოხდეს, რათა თავიდან იქნეს აცილებული აქტივების შერჩევითი გადაფასება და საწარმოს ფინანსურ ანგარიშგებაში განსხვავებული თარიღებისათვის შევსებული დანახარჯებისა და ღირებულებების ერთმანეთში არევა. თუმცა, ზოგჯერ დაშვებულია ზოგიერთი აქტივის წინმსწრები გადაფასება, თუ გადაფასება ხდება მოკლე პერიოდის განმავლობაში და მუდმივად განახლებადია.

როდესაც გადაფასების შედეგად აქტივის საბალანსო ღირებულება იზრდება, ნამეტი უნდა დაკრედიტდეს საკუთარი კაპიტალის განყოფილებაში „გადაფასების ნამეტის“ სახელწოდებით. ამასთან, გადაფასების ნამეტი უნდა აღიარდეს მოგება/ზარალში იმ ოდენობით, რამდენიც საჭიროა იმავე აქტივის ჩამოფასების თანხის საკომპენსაციოდ, რომელიც ადრე აღიარდა მოგება/ზარალში.

თუ აქტივის საბალანსო ღირებულება შემცირდა გადაფასების შემდეგ, ეს შემცირება უნდა აღიარდეს მოგება/ზარალში, მაგრამ შემცირების თანხა უნდა დადებულდეს საკუთარი კაპიტალის განყოფილებაში „გადაფასების ნამეტის“ სახელწოდებით იმ ოდენობით, რა სიდიდის საკრედიტო ნაშთიც არსებობს გადაფასების ნამეტში ამ აქტივთან დაკავშირებით.

საკუთარი კაპიტალის განყოფილებაში ჩართული გადაფასების ნამეტი შეიძლება გადატანილ იქნეს გაუნაწილებელ მოგებაში, როდესაც წყდება აქტივის აღიარება. ზოგჯერ აქტივის ეს გადატანა ხდება საწარმოს მიერ აქტივის გამოყენების პერიოდში. ასეთ დროს გადატანილი ნამეტის თანხა იქნება სხვაობა აქტივის გადაფასებული ღირებულებიდან გაანგარიშებულ ცვეთის თანხასა და მისი თავდაპირველი თვითღირებულების მიხედვით გაანგარიშებულ ცვეთის თანხას შორის. გადაფასების ნამეტის თანხის გადატანა გაუნაწილებელი მოგების ანგარიშზე არ აისახება მოგება/ზარალში.

აქტივების გადაფასებისას, უნდა აღირიცხოს გადაფასებული აქტივების ცვეთა. განასხვავებენ აქტივების გადაფასებისას დარიცხული ცვეთის აღრიცხვის ორ მეთოდს:

- ინდექსაციის მეთოდს;
- ელიმინირების მეთოდს.

ინდექსაციის მეთოდის დროს ცვეთა გადაანგარიშდება ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულების ცვლილების პროპორციულად ისე, რომ გადაფასების შემდეგ აქტივის საბალანსო ღირებულება უდრიდეს მის გადაფასებულ ღირებულებას.

ელიმინირების მეთოდის დროს დაგროვილი ცვეთა აკლდება ძირითადი საშუალებების მთლიან საბალანსო ღირებულებას, ხოლო სხვაობის თანხა გადაიანგარიშება აქტივის გადაფასებულ ღირებულებამდე. ღირებულების ზრდა აისახება გადაფასების რეზერვის ანგარიშზე, შემცირება კი - არასაოპერაციო ზარალის ანგარიშზე.

გადაფასების შედეგები აისახება შემდეგნაირად:

- ჩამოფასების შემთხვევაში, ჯერ მცირდება გადაფასების რეზერვი, ხოლო თუ ის არ არის საკმარისი, სხვაობა აღიარდება ზარალად;

- აფასების შემთხვევაში, თუ მანამდე აღიარებული იყო ზარალი, ზარალის თანხით მოხდება გადაფასების რეზერვის ზრდა.

გადაფასების პროცესი აისახება შემდეგი ბუღალტრული გატარებებით:

ა) ინდექსაციის მეთოდის შემთხვევაში:

1. პირველი გადაფასება

- აფასება ზრდის კაპიტალს, რაც აისახება შემდეგნაირად:

დებეტი - ძირითადი საშუალებები

კრედიტი - ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვი

კრედიტი - ძირითადი საშუალებების ცვეთა

- ჩამოფასება აღიარდება ხარჯად და გატარდება:

დებეტი - ძირითადი საშუალებების ცვეთა

დებეტი - არასაოპერაციო ზარალი

კრედიტი - ძირითადი საშუალებები

2. შემდგომი გადაფასება

- აფასება - წინა ჩამოფასების შედეგით, ანუ ზარალით აღიარდება არასაოპერაციო მოგება, სხვაობა კი კაპიტალად:

დებეტი - ძირითადი საშუალებები

კრედიტი - არასაოპერაციო მოგება

კრედიტი - ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვი

კრედიტი - ძირითადი საშუალებების ცვეთა

- ჩამოფასება - მცირდება წინა აფასების შედეგად შექმნილი რეზერვი, დარჩენილი სხვაობა კი აღიარდება ხარჯად:

დებეტი - ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვი

დებეტი - არასაოპერაციო ზარალი

დებეტი - ძირითადი საშუალებების ცვეთა

კრედიტი - ძირითადი საშუალებები

ბ) ელიმინირების მეთოდის შემთხვევაში:

- ცვეთის ელიმინირება:

დებეტი - ძირითადი საშუალებების ცვეთა

კრედიტი - ძირითადი საშუალებები

- აქტივის ღირებულების ზრდა:

დებეტი - ძირითადი საშუალებები

კრედიტი - ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვი

- აქტივის ღირებულების შემცირება:

დებეტი - არასაოპერაციო ზარალი

კრედიტი - ძირითადი საშუალებები

მომდევნო გადაფასების დროს, ინდექსაციის მეთოდის ანალოგიურად, გაითვალისწინება წინა გადაფასების რეზერვი.

გადაფასების ასახვის ორივე მეთოდის დროს მიიღება ერთი და იგივე შედეგი.

თავი 2. ძირითადი საშუალებების ანალიზის მეთოდის საკითხები

2.1 ძირითადი საშუალებების ტექნიკური დონის ანალიზი

ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით გრძელვადიან აქტივებს მიეკუთვნება ერთ წელზე მეტი ვადით გამოყენებადი ქონება: ძირითადი საშუალებები, ინვესტიციები, გრძელვადიანი ფასიანი ქაღალდები, არამატერიალური აქტივები, გრძელვადიანი მოთხოვნები.

საწარმოს საინვესტიციო და ფინანსური პოლიტიკის შესახებ ინფორმაციის მიღების და ზოგადი წარმოდგენის შესაქმნელად, ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორი საწარმოში არსებული ძირითადი საშუალებებია. იმ შემთხვევაში, თუ საწარმოს გრძელვადიან აქტივებში მაღალი ხვედრითი წილი ძირითად საშუალებებს უჭირავს, შეგვიძლია ვივარაუდოთ რომ ბიზნესი ფართოვდება.

ძირითადი საშუალებები საწარმოს ტექნიკური ბაზის მდგომარეობის განმსაზღვრელია, ვინაიდან მასზე დიდადაა დამოკიდებული მწარმოებლურობის ზრდა, ფონდუკუგება, მასალატევადობა, პროდუქციის თვითღირებულება, რენტაბელობა და სხვა მაჩვენებლები.

ძირითადი საშუალებების ტექნიკური დონის ანალიზის ამოცანებია: არსებული ტექნიკური დონის შეფასება, წარმოების საბოლოო შედეგებზე ტექნიკური განვითარების ღონისძიებათა გავლენის დადგენა, მისი შემდგომი ამალღების გზების განსაზღვრა.

ძირითადი საშუალებები იყოფა: სამრეწველო-საწარმოო, არასამრეწველო-საწარმოო და არასაწარმოო დანიშნულების საშუალებებად. საწარმოს საწარმოო სიმძლავრეს განსაზღვრავს სამრეწველო-საწარმოო საშუალებები. გარდა ამისა, შესაძლებელია ძირითადი საშუალებებიდან ცალკე გამოვყოთ აქტიური და პასიური ნაწილები, მათ ასევე ყოფენ ფუნქციონალური დანიშნულების მიხედვითაც. ასეთი დაჯგუფებები საშუალებას იძლევა შევავსოთ საწარმოში ძირითად საშუალებებთან დაკავშირებული მდგომარეობა და გამოვავლინოთ მათი გამოყენების ეფექტიანობის ამალღების რეზერვები.

როგორც წესი, ანალიზი ძირითადი საშუალებების სტრუქტურის შესწავლით იწყება. სტრუქტურული დახასიათება საშუალებას იძლევა დინამიკაში იყოს დანახული

სამრეწველო-საწარმოო საშუალებების სტრუქტურული ცვლადობა და მისი გავლენა საშუალებების გამოყენებაზე. ძირითადი საშუალებების სტრუქტურა განსხვავებულია ცალკეული დარგების მიხედვით. მაგ. მომპოვებელი მრეწველობის საწარმოში ძირითად საშუალებათა სტრუქტურაში დიდი ადგილი უჭირავს ნაგებობებს, გადამამუშავებელ მრეწველობაში მანქანა-დანადგარებს და სხვა.


შპს „მშენებელი“-ს ძირითადი საშუალებების ხვედრითი წილი მთლიან აქტივებში წლების მიხედვით

ცხრილი №2.1

| მაჩვენებლები | 2013 წელი | 2014 წელი | 2015 წელი | 2016 წელი | 2017 წელი |
|--|------------|------------|------------|-------------|------------|
| მთლიანი აქტივები (ლარი) | 86,707,700 | 74,453,900 | 97,862,640 | 103,371,670 | 87,429,270 |
| მიმდინარე აქტივები | 39,900,430 | 32,126,530 | 48,619,180 | 52,314,700 | 34,280,280 |
| არამატერიალური აქტივები | 1,208,370 | 1,092,720 | 1,271,260 | 1,344,590 | 1,495,390 |
| ძირითადი საშუალებები | 45,598,900 | 41,234,650 | 47,972,200 | 49,712,380 | 51,653,600 |
| ძირითადი საშუალებების ხვედრითი წილი მთლიან აქტივებში % | 52,6 | 55,4 | 49 | 48,1 | 59,1 |
| ძირითადი საშუალებების | | | | | |

| | | | | | |
|---|---|-----|------|-----|-----|
| პროცენტული ცვლილება წინა წელთან შედარებით % | - | 9,6 | 16,3 | 3,6 | 3,9 |
|---|---|-----|------|-----|-----|

დიაგრამა №2.1



მოცემული ინფორმაციის მიხედვით ნათლად ჩანს, რომ ძირითადი საშუალებების მოცულობა, ისევე როგორც მისი ხვედრითი წილი მთლიან აქტივებში საკმაოდ ცვალებადობით გამოირჩეოდა.

2014 წელს გაუარესდა საწარმოს ქონებრივი მდგომარეობადა მისმა მოცულობამ გასული წლის მთლიანი მოცულობის 86% შეადგინა. ეს ძირითადად 2-მა ფაქტორმა განაპირობა: 1. წარმოების შემცირებამ; 2. აქტივების გაუფასურებამ. გაუფასურების და

ღირებულების 10%-თ შემცირების მიუხედავად 2.8%-ით გაიზარდა ძირითადი საშუალებების ძირითადი საშუალებების მოცულობა მთლიან აქტივებში.

მთლიანი აქტივების ზრდის რეკორდული ზრდის ტემპი დაფიქსირდა 2015 წელს და მან 31,4% შეადგინა წინა წელთან შედარებით. ამის გამომწვევი მიზეზები იყო: წარმოების ზრდა; ძირითადი საშუალებების გადაიარაღება და ახალი ძირითადი საშუალებების შეყვანა ექსპლუატაციაში. ამის მიუხედავად 16,3%-იანი ზრდა განიცადა ძირითადი საშუალებების მოცულობამ, თუმცა მისი ზრდის ტემპი მკვეთრად ჩამორჩა დანარჩენი აქტივების ზრდის ტემპს, რაც მისი ხვედრითი წილის შემცირებაში აისახა და მთლიანი აქტივების 49 პროცენტი შეადგინა.

5.6%-იანი მთლიანი აქტივების ზრდა დაფიქსირდა 2016 წელს, პარალელურად 3.6%-იანი შემცირება დაფიქსირდა ძირითად საშუალებებში, რამაც განაპირობა მთლიან აქტივებში ძირითადი საშუალებების ხვედრითი წილის მინიმალურ დონეზე დაცემა და მან 48.1% შეადგინა.

რაც შეეხება 2017 წელს, რეკორდულად მაღალი 15.4%-იანი ვარდნა განიცადა მთლიანი აქტივების მოცულობამ. პარალელურად 3.9%-იანი მატება განიცადა ძირითადმა საშუალებებმა, ამ ყველაფერმა კი განაპირობა ძირითადი საშუალებების ხვედრითი წილის რეკორდული ზრდა მთლიან აქტივებში და მან 59.1% შეადგინა.

აღსანიშნავია რომ 2015 წლიდან მოყოლებული ყოველწლიურად იზრდებოდა ძირითადი საშუალებების მოცულობა, რაც ფირმისათვის ცალსახად დადებით მოვლენას წარმოადგენს.

სამრეწველო-საწარმოო საშუალებების შემადგენლობა დროთა განმავლობაში იცვლება. ამასთან პროდუქციის წარმოების პროცესში ყველა ძირითადი საშუალება ერთნაირად არ მონაწილეობს. მაგალითად შენობა-ნაგებობები ხელს უწყობენ წარმოების პროცესს, ხოლო ძირითადი საშუალებების აქტიური ნაწილი, ისეთი როგორცაა მანქანა-დანადგარები გადამწყვეტ როლს ასრულებენ წარმოების პროცესში, ამიტომ ანალიზის დროს განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა იმის გარკვევას, თუ რა ხვედრითი წილი უჭირავს აქტიურ ნაწილს მთლიან ძირითად საშუალებებში და გაიანგარიშება - მანქანა-დანადგარების საბალანსო ღირებულების შეფარდებით ძირითადი საშუალებების მთლიან ღირებულებასთან.


შპს „მშენებელი“-ს ძირითადი საშუალებების სტრუქტურა და დინამიკა წლების

ცხრილი №2.2

| ძირითადი საშუალებები | 2013 წელი | % | 2014 წელი | % | 2015 წელი | % | 2016 წელი | % | 2017 წელი | % |
|------------------------------|------------|------|------------|------|------------|------|------------|------|------------|------|
| მიწის ნაკვეთები | 2,759,400 | 6,1 | 2,759,400 | 6,69 | 2,759,400 | 5,75 | 2,759,400 | 5,55 | 2,759,400 | 5,34 |
| შენობა-ნაგებობები | 1,837,800 | 4 | 1,426,650 | 3,46 | 1,806,650 | 3,77 | 1,876,780 | 3,77 | 1,770,590 | 3,43 |
| საინვესტიციო ქონება | 1,998,440 | 4,4 | 1,837,000 | 4,45 | 2,290,220 | 4,77 | 2,489,370 | 5 | 2,364,890 | 4,58 |
| მანქანა-დანადგარები | 7,619,310 | 16,7 | 7,014,430 | 17 | 8,141,860 | 17 | 8,868,790 | 17,8 | 8,324,890 | 16,1 |
| ოფისის აღჭურვილობა | 376,700 | 0,8 | 344,250 | 0,83 | 352,970 | 0,74 | 364,370 | 0,73 | 330,100 | 0,64 |
| ავტოსატრანსპორტო საშუალებები | 31,007,250 | 68 | 27,852,920 | 67,5 | 32,621,100 | 68 | 33,353,670 | 67,1 | 36,103,720 | 69,9 |

| | | | | | | | | | | |
|-----|----------------|-----|----------------|-----|----------------|-----|----------------|-----|----------------|-----|
| სულ | 45,598,9 00 | 100 | 41,234,6 50 | 100 | 47,972, 200 | 100 | 49,712,38 0 | 100 | 51,653,6 00 | 100 |
|-----|----------------|-----|----------------|-----|----------------|-----|----------------|-----|----------------|-----|

დიაგრამა №2.2



ცხრილ №2.2-ზე მოცემულია შპს „მშენებელი“-ს ძირითადი საშუალებების სტრუქტურული ცხრილი, მათი დინამიკა და თითოეული ძირითადი საშუალების ხვედრითი წილი წლების მიხედვით, ხოლო დიაგრამა №2.2-ზე გამოსახულია აღნიშნული მონაცემები პროცენტულად.

მიწის ნაკვეთებს მთელ ძირითად საშუალებებში საშუალოდ 6% უკავია, შენობა-ნაგებობებს-4%, საინვესტიციო ქონებას-4%, მანქანა-დანადგარებს-17%, ოფისის აღჭურვილობას 1%, ხოლო ავტოსატრანსპორტო საშუალებებს-68%.

ძირითადი საშუალებების პროცენტული ცვლილება საბაზისო წელთან შედარებით

ცხრილი №2.3

| პირითადი საშუალებე ბი | 2013 წელ ი | 2014 წელი | | 2015 წელი | | 2016 წელი | | 2017 წელი | |
|---|------------------------|------------------------|--------------------------------|------------------------|--------------------------------|------------------------|--------------------------------|------------------------|--------------------------------|
| | | ღირებ ულება | პროცენ ტული ცვლი ლება | ღირებ ულება | პროცენ ტული ცვლი ლება | ღირებ ულება | პროცენ ტული ცვლი ლება | ღირებ ულება | პროცენ ტული ცვლი ლება |
| მიწის ნაკვეთები | 2,759 ,400 | 2,759,40 0 | 1 | 2,759,40 0 | 1 | 2,759,40 0 | 1 | 2,759,40 0 | 1 |
| შენობა- ნაგებობებ ი | 1,837 ,800 | 1,426,65 0 | 0,78 | 1,806,65 0 | 0,98 | 1,876,78 0 | 1,02 | 1,770,59 0 | 0,96 |
| საინვესტი ციო ქონება | 1,998 ,440 | 1,837,00 0 | 0,92 | 2,290,22 0 | 1,15 | 2,489,37 0 | 1,25 | 2,364,89 0 | 1,18 |
| მანქანა- დანადგარ ები | 7,619 ,310 | 7,014,43 0 | 0,92 | 8,141,86 0 | 1,06 | 8,868,79 0 | 1,16 | 8,324,89 0 | 1,09 |
| ოფისის აღჭურვი ლობა | 376,7 00 | 344,250 | 0,91 | 352,970 | 0,94 | 364,370 | 0,97 | 330,100 | 0,88 |
| ავტოსატრ ანსპორტო საშუალებე ბი | 31,00 7,250 | 27,852,9 20 | 0,9 | 32,621,1 00 | 1,05 | 33,353,6 70 | 1,08 | 36,103,7 20 | 1,16 |
| სულ | 45,59 8,900 | 41,234,6 50 | 0,9 | 47,972,2 00 | 1,05 | 49,712,3 80 | 1,08 | 51,653,6 00 | 1,16 |

ცხრილ №2.3-ზე მოცემულია ძირითადი საშუალებების პროცენტული ცვლილება წინა წელთან შედარებით. ანალიზით დგინდება, რომ ყველა ძირითადი საშუალება, გარდა მიწის ნაკვეთებისა ხან დადებითი და ხან უარყოფითი ცვლილებებით ხასიათდებოდა.

2014 წელი ცალსახად უარყოფითად უნდა ჩაითალოს საწარმოსთვის, ვინაიდან მიწის გარდა უარყოფითი ზრდის ტემპი დაფიქსირდა ყველა ძირითადი საშუალებასთან მიმართებაში, რამაც გამოიწვია მთელი ძირითადი საშუალებების ღირებულების 10%-იანი კლება და 5 წლის განმავლობაში ყველაზე დაბალი ნიშნული დაფიქსირდა.

მოყოლებული 2015 წლიდან ყოველწლიურად იზრდებოდა ძირითადი საშუალებების საერთო ღირებულება საბაზისო წელთან შედარებით და ზრდის საერთო ტემპებმა მაქსიმუმს საანალიზო პერიოდის ბოლო 2017 წელს მიაღწია.

ზრდის ყველაზე მაღალი ტემპებით საინვესტიციო ქონება, მანქანა-დანადგარები და ავტოსატრანსპორტო საშუალებები გამოირჩეოდნენ.

რაც შეეხება ზრდის ყველაზე დაბალ ტემპებს, იგი ოფისის აღჭურვილობას ახასიათებდა. მისმა ღირებულებამ მკვეთრად მოიკლო საბაზისო წელთან შედარებით და ბოლო 2017 წელს ყველაზე დაბალ ნიშნულს მიაღწია.

ზემოთ მოცემული ცხრილების მიხედვით და იმის გათვალისწინებით, რომ შპს “შენეხელი“ ეწევა სამშენებლო საქმიანობა, მოცემულ ძირითად საშუალებებში აქტიურ ნაწილს წარმოადგენენ: მანქანა-დანადგარები და ავტო-სატრანსპორტო საშუალებები და მათი ხვედრითი წილი მთლიან ძირითად საშუალებებში საშუალოდ 84-86% შეადგენს. ავტოსატრანსპორტო საშუალებებს საშუალოდ 67-70%, ხოლო მანქანა-დანადგარებს 16-18% უჭირავს.

ძირითადი საშუალებების აქტიური და პასიური ნაწილების სტრუქტურული ცხრილი და დინამიკა წლების მიხედვით


ცხრილი №2.4

| მაჩვენებლებ | 2013 | % | 2014 | % | 2015 | % | 2016 | % | 2017 | % |
|-------------|------|---|------|---|------|---|------|---|------|---|
| ო | | | | | | | | | | |

| | | | | | | | | | | |
|-------------------|------------------------|------------|------------------------|------------|------------------------|-----------------|------------------------|-----------------|------------------------|-----------------|
| აქტიური ნაწილი | 38,626,56 0 | 84, 7 | 34,867,37 0 | 84, 6 | 40,762,96 0 | 85 | 42,222,46 0 | 85 | 44,428,61 0 | 86 |
| პასიური ნაწილი | 6,972,340 | 15, 3 | 6,367,280 | 15, 4 | 7,209,240 | 15 | 7,489,920 | 15 | 7,224,990 | 14 |
| სულ | 45,598,90 0 | 100 | 41,234,65 0 | 100 | 47,972,20 0 | 10 0 | 49,712,38 0 | 10 0 | 51,653,60 0 | 10 0 |

ეს პროცენტული შეფარდება წარმოდგენილია ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე.

დიაგრამა №2.3



ძირითადი საშუალებების სტრუქტურული ცვლილებები დამოკიდებულია მათ მოძრაობაზე, ამიტომ რომელი ძირითადი საშუალებები იქნა მიღებული საწარმოში და პირიქით - რა ღირებულების გავიდა და რა მიზეზით.

ძირითადი საშუალებების მოძრაობის აღწერისათვის გამოიყენება ისეთი კოეფიციენტები, როგორებიცაა:

- **განახლების კოეფიციენტი** - განისაზღვრება როგორც, საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში შეძენილი ძირითადი საშუალებების ფარდობა ამავე პერიოდის ბოლოს არსებული ძირითადი საშუალებების ღირებულებასთან.

- **გასვლის კოეფიციენტი** - ახასიათებს წარმოების სფეროდან ძირითადი საშუალებების გასვლის ინტენსივობის ხარისხს. გაიანგარიშება საანგარიშგებო პერიოდში გასული ძირითადი საშუალებების ღირებულების შეფარდებით პერიოდის დასაწყისისთვის არსებული ძირითადი საშუალებების ღირებულებასთან.

წარმოების პროცესის წარმატებით განხორციელებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს არა მარტო მათ აღჭურვას ძირითადი საშუალებებით, არამედ მათ ტექნიკურ მდგომარეობასაც. ამ მიზნით გამოიყენება შემდეგი მაჩვენებლები:

- **ძირითადი საშუალებების მატების კოეფიციენტი** - განისაზღვრება საანგარიშგებო პერიოდში მიღებული და გასული ძირითადი საშუალებების ღირებულებებს შორის სხვაობის შეფარდებით პერიოდის დასაწყისისთვის არსებული ძირითადი საშუალებების ღირებულებასთან.

- **ცვეთის კოეფიციენტი** - გვიჩვენებს ძირითადი საშუალებების პირვანდელი ღირებულების რა ნაწილია განივთებული მზა პროდუქციის ღირებულებაში. გაიანგარიშება როგორც ძირითადი ფონდების ცვეთის სიდიდე შეფარდებული ძირითადი საწარმოო საშუალებების სრულ პირვანდელ ღირებულებასთან განსაზღვრული პერიოდისათვის. განასხვავებენ ფიზიკურ და მორალურ ცვეთას.

ძირითადი საშუალებების ფიზიკური ცვეთა წარმოიქმნება მათი ხანგრძლივი მოხმარების შედეგად და მისი მოცულობა დამოკიდებულია იმაზე, თუ რა ინტენსივობით ხდება კონკრეტული ძირითადი საშუალების გამოყენება. რაც შეეხება მორალურ ცვეთას, ის შეიძლება გამოიწვიოს ისეთმა სუბიექტურმა ფაქტორებმა როგორებიცაა: ძირითადი საშუალებების წარმოების გაიაფება და წარმოებაში ახალი, მეტად სრულყოფილი შრომის იარაღების დანერგვა.

- **ვარგისიანობის კოეფიციენტი** - გვიჩვენებს ძირითადი საშუალებების ნარჩენი ღირებულების ხვედრით წილს ძირითადი საშუალებების პირვანდელ ღირებულებაში. გაიანგარიშება პირველი მათგანის შეფარდებით შეფარდებით მეორესთან.

განვითარების თანამედროვე ეტაპზე, განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ ძირითადი საშუალებების განახლების კოეფიციენტს, რადგანაც იგი დაკავშირებულია ტექნიკურ პროცესთან და კვლავწარმოების პროცესთან. იგი განისაზღვრება საანგარიშგებო პერიოდში ექსპლოატაციაში გადაცემული ძირითადი საშუალებების ღირებულების შეფარდებით პერიოდის ბოლოს არსებული ძირითადი საწარმოო საშუალებების ღირებულებასთან.

ძირითადი საშუალებების ანალიზის პროცესში ასევე შეისწავლება ახალი ტექნიკის დანერგვის, ახალი ობიექტების მოქმედებაში მოყვანის, ძირითადი საშუალებების რემონტის და სხვა გეგმის შესრულება.

შპს „მშენებელი“-ს ძირითადი საშუალებების მოცულობა, სტრუქტურა და მოძრაობა

2017 წელი

ცხრილი №2.5

| მაჩვენებლები | მიწის ნაკვეთები | შენობა- ნაგებობები | საინვესტიციო კონება | მანქანა- დანადგარები | ოფისის აღჭურვილობა | ავტოსატრანსპორტო საშუალებები | სულ |
|---|--------------------|-----------------------|------------------------|-------------------------|-----------------------|---------------------------------|---------------------|
| ღირებულება | | | | | | | |
| ღირებულება აწლის დასაწყისში | 2,759,400 | 2,434,100 | 2,732,740 | 17,990,960 | 593,180 | 60,426,990 | 86,937,370 |
| მიღებულია | - | - | - | 1,021,070 | 42,130 | 10,394,050 | 11,457,260 |
| გასულია/გაყიდულია | - | - | - | (1950) | (7630) | (358,690) | (368,260) |
| ღირებულება აწლის ბოლოს | 2,759,400 | 2,434,100 | 2,732,740 | 19,010,080 | 627,690 | 70,462,350 | 98,026,360 |
| დაგროვილი ცვეთა | | | | | | | |
| ცვეთა წლის დასაწყისში | - | (557,330) | (243,370) | (9,122,170) | (228,820) | (27,073,320) | (37,225,010) |
| ცვეთა წლის განმავლობაში | - | (106,180) | (124,470) | (1,576,170) | (70,650) | (7,616,750) | (9,494,220) |
| გასვლის შედეგად ელიმინირებული ცვეთა | - | - | - | 13,150 | 1880 | 331,440 | 346,470 |
| ცვეთა წლის ბოლოს | - | (663,510) | (367,840) | (10,685,180) | (297,590) | (34,358,640) | (46,372,760) |

| საბალანსო ღირებულება | | | | | | | |
|----------------------|-----------|-----------|-----------|-----------|---------|------------|-------------------|
| წლის დასაწყისში | 2,759,400 | 1,876,770 | 2,489,370 | 8,868,790 | 364,370 | 33,353,670 | 49,712,360 |
| წლის ბოლოს | 2,759,400 | 1,770,590 | 2,364,890 | 8,324,890 | 330,100 | 36,103,720 | 51,653,600 |

შპს „მშენებელი“-ს ფინანსურ ანგარიშგებაში ძირითადი საშუალებები წარმოდგენილია ღირებულებასა და დაგროვილ ცვეთას, არსებობის შემთხვევაში, ასევე გაუფასურების რეზერვს შორის სხვაობით.

ცვეთის დარიცხვა ხდება ნარჩენი ღირებულებით შემცირებული აქტივების თვითღირებულების გადანაწილებით, მათი სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადაზე. საწარმო იყენებს შემცირებადი ნაშთის მეთოდს. შენობებზე გამოიყენება წლიური 5%-იანი ცვეთის განაკვეთი, სატრანსპორტო საშუალებებსა და მანქანა-დანადგარებზე - წლიური 8%-დან 20%-მდე, ხოლო საოფისე აღჭურვილობაზე - წლიური 14%-დან 50%-მდე განაკვეთი.

ძირითადი საშუალებების რეალიზაციით წარმოქმნილი მოგება ან ზარალი განისაზღვრება, როგორც სხვაობა მიღებულ საფასურსა და ნარჩენ საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება შესაბამისი პერიოდის მოგება-ზარალში.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდისათვის საწარმოს ხელმძღვანელობა აფასებს, ხომ არ აქვს ადგილი ძირითადი საშუალებების გაუფასურებას. ამგვარი ნიშნის არსებობის შემთხვევაში. ხელმძღვანელობა ასევე აფასებს აქტივის (აქტივთა ჯგუფის) ანაზღაურებად ღირებულებას, რომელიც წარმოადგენს უდიდესს აქტივის რეალურ ღირებულებასა და გამოყენებით ღირებულებას შორის. გაუფასურების შემთხვევაში აქტივის საბალანსო ღირებულება მცირდება ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში იმ სიდიდით, რითაც იგი აღემატება ამ აქტივის გადაფასების რეზერვის კაპიტალში.

ცხრილ №2.5-ზე წარმოდგენილია შპს „მშენებელი“-ს მოცულობა, სტრუქტურა და მოძრაობა 2017 წლის მიხედვით.

ცხრილის მონაცემები გვიჩვენებს, რომ შპს „მშენებელი“-ს ძირითადი საშუალებების მთლიანი მოცულობა წლის დასაწყისში შეადგენდა 86,937,370 ლარს. 2017 წლის განმავლობაში საწარმოში შემოვიდა 11,457,260 ლარის და გავიდა 368,260 ლარის ღირებულების ძირითადი საშუალებები. აქედან გამომდინარე წლის ბოლო ძირითადი საშუალებების მთლიანმა მოცულობამ 98,026,360 ლარი შეადგინა. ე.ი. 11,088,990 ლარით გაიზარდა ძირითადი საშუალებების მოცულობა და მან წინა წელთან შედარებით 12.7% შეადგინა, 11,054,480 ლარით გაიზარდა აქტიური ძირითადი საშუალებების მოცულობა რაც 14%-ს შეადგენს წინა წლის ანალოგიურ მონაცემებთან შედარებით, ეს უკანასკნელი კი დადებით მოვლენას წარმოადგენს საწარმოსათვის.

საანალიზო წლის დასაწყისში საწარმოს ჰქონდა 37,225,010 ლარის დაგროვილი ცვეთა, წლის განმავლობაში ძირითადი საშუალებების დაგროვილმა ცვეთამ შეადგინა 9,494,220 ლარი, საწარმოს ასევე დაუგროვდა 346,470 ლარის გასვლის შედეგად ელიმინირებული ცვეთა, რამაც საბოლოოდ შეამცირა დაგროვილი ცვეთა და მან წლის ბოლოს 46,372,760 ლარი შეადგინა.

რაც შეეხება ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულებას: ძირითადი საშუალებების მთლიანი საბალანსო ღირებულება წლის დასაწყისში 49,712,36 ლარს შეადგენდა, წლის ბოლოს კი ეს რიცხვი გაიზარდა და მან 51,653,600 ლარი შეადგინა.

ზემოთ მოცემული ძირითადი საშუალებების ტექნიკური მდგომარეობა შეიძლება გამოვსახოთ შემდეგნაირად:

$$K_{\text{განახლების}} = \frac{11,457,260}{98,026,360} = 0,116$$

$$K_{\text{გასვლის}} = \frac{368,260}{86,937,370} = 0,004$$

$$K_{\text{მატების}} = \frac{11,457,260 - 368,260}{86,937,370} = 0,128$$

$$K_{\text{ცვეთის}} = \frac{46,372,760 - 346,470}{98,026,360} = 0,473$$

$$K_{\text{ვარგისიანობის}} = \frac{98,026,360 - 46,026,290}{98,026,360} = 0,530$$

ძირითადი საშუალებების ტექნიკური დონის ანალიზის მომდევნო ეტაპია საწარმოს ძირითადი საშუალებებით უზრუნველყოფის ანალიზი, რომელიც მოიცავს: საწარმოს აღჭურვას სხვადასხვა სახეობის მანქანა-დანადგარებით, მოწყობილობებით, ტექნიკით, შენობა-ნაგებობებით, რაც აუცილებელი პირობაა იმ გეგმის შესრულებისათვის, რასაც პროდუქციის გამოშვების გეგმიური მაჩვენებელი ჰქვია. რაც შეეხება საწარმოს ძირითადი საშუალებებით უზრუნველყოფის კერძო მაჩვენებელს, იგი მოიცავს შრომის ფონდშეიარაღებას, ტექნიკურ შეიარაღებასა და შრომის ენერგო შეიარაღებას.

შრომის ფონდშეიარაღება - გვიჩვენებს, თუ რა ძირითადი საშუალებებითა აღჭურვილი ეს ესა თუ ის საწარმო. მის გასაანგარიშებლად საჭიროა საწარმოო დანიშნულების ძირითადი საშუალებების საშუალო წლიური ღირებულება შევავარდოთ საწარმოში დასაქმებული პერსონალის რაოდენობასთან.

შრომის ტექნიკური შეიარაღების მაჩვენებლის გასარკვევად, მანქანა-დანადგარებისა და სხვადასხვა მოწყობილობების საერთო ღირებულება უნდა შევაფარდოთ საწარმოში ყველაზე დიდ ცვლაში მყოფი მუშების რიცხვთან.

ენერგომეიარაღების მაჩვენებელი კი წარმოდგენას გვაძლევს, თუ რა კავშირია ცოცხალი ძალის დანახარჯებსა და ენერჯის საწარმოო მოხმარებასთან.

არსებობს შრომის პოტენციური და ფაქტობრივი ენერგომეიარაღება: პოტენციური ენერგომეიარაღება გამოიანგარიშება ყველა არსებული დანადგარის და გამოყენებული ძრავის საერთო სიმძლავრით საშუალოდ ერთ თანამშრომელზე (კვ); ხოლო ფაქტობრივი - კი გაიანგარიშება მოხმარებული ენერჯის რაოდენობის მიხედვით საშუალოდ ერთ კაც-საათზე (დღეზე) (კვ. სთ.).

საწარმოს ძირითადი საშუალებებით უზრუნველყოფის ანალიზი ნიშნავს, რომ შრომის ფონდმეიარაღების, ტექნიკური შეიარაღებისა და ენერგომეიარაღების მაჩვენებლები შევადაროთ წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებლებთან, რაც საშუალებას მოგვცემს დავინახოთ დინამიკა, გვაქვს ზრდა თუ კლება, ეს კი მნიშვნელოვანია იმ საბოლოო მიზნის მისაღწევად, რასაც შრომის მწარმოებლურობის ზრდა ჰქვია.

2.2 ძირითადი საშუალებების გამოყენების ეფექტიანობის ანალიზი

ძირითადი საშუალებების გამოყენების ეფექტიანობის ანალიზის პროცესში იყენებენ ისეთ მაჩვენებლებს, როგორებიცაა:

- **ფონდუკუგება** - რომელიც არის ფარდობა წარმოებული პროდუქციის ან გაწეული მომსახურების ღირებულებასა და ამ პროცესში გამოყენებული ძირითადი საშუალებების საშუალოწლიურ ღირებულებას შორის. ფონდუკუგება ერთერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მაჩვენებელი, ვინაიდან სწორედ იგი გვიჩვენებს საშუალოდ რა მოცულობის პროდუქციის გამოშვება ან მომსახურების გაწევა მოდის ერთი ლარის ღირებულების ძირითად საშუალებებზე;

- **ფონდტევადობა** - იგი არის იმავე მაჩვენებლების ფარდობა, რომლებიც ფონდუკუგებაში გვხვდება, განსხვავება ისაა რომ მისი შებრუნებული ვერსიაა;

- **რენტაბელობა** - განისაზღვრება როგორც ფარდობა საწარმოს მიერ მიღებულ მოგებასა და ძირითადი საშუალებების საშუალოწლიურ ღირებულებას შორის.

ფონდუკუგების მაჩვენებლის გამოსაანგარიშებლად პროდუქციის ან მომსახურების მოცულობა უნდა დაკორექტირდეს საბითუმო ფასების ცვლილების შესაბამისად, ძირითადი საშუალებების ღირებულება კი - გადაფასებით.

ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულება წლის დასაწყისსა და წლის ბოლოს

ცხრილი №2.6

| წელი | 2014 | | 2015 | | 2016 | | 2017 | |
|---------------------|----------------|-----------|----------------|-----------|----------------|-----------|----------------|-----------|
| | წლის დასაწყისი | წლის ბოლო | წლის დასაწყისი | წლის ბოლო | წლის დასაწყისი | წლის ბოლო | წლის დასაწყისი | წლის ბოლო |
| მიწის ნაკვეთები | 2,759,400 | 2,759,400 | 2,759,400 | 2,759,400 | 2,759,400 | 2,759,400 | 2,759,400 | 2,759,400 |
| შენობა-ნაგებობები | 1,837,800 | 1,426,650 | 1,426,650 | 1,806,650 | 1,806,650 | 1,876,770 | 1,876,770 | 1,770,590 |
| საინვესტიციო ქონება | 1,998,440 | 1,837,000 | 1,837,000 | 2,290,220 | 2,290,220 | 2,489,370 | 2,489,370 | 2,364,890 |
| მანქანა-დანადგარები | 7,619,310 | 7,014,430 | 7,014,430 | 8,141,860 | 8,141,860 | 8,868,790 | 8,868,790 | 8,324,890 |
| ოფისის აღჭურვილობა | 376,700 | 344,250 | 344,250 | 352,970 | 352,970 | 364,370 | 364,370 | 330,100 |

| | | | | | | | | |
|----------------------------------|-------------------|-------------------|-------------------|-------------------|-------------------|-------------------|-------------------|-------------------|
| ავტოსატრანსპორტო საშუალებები | 31,007,250 | 27,852,920 | 27,852,920 | 32,621,100 | 32,621,100 | 33,353,670 | 33,353,670 | 36,103,720 |
| სულ | 45,598,900 | 41,234,650 | 41,234,650 | 47,972,200 | 47,972,200 | 49,712,360 | 49,712,360 | 51,653,600 |
| საშუალო წლიური ღირებულება | 43,416,775 | | 44,603,425 | | 48,842,280 | | 50,682,980 | |


ძირითადი საშუალებების აქტიური ნაწილის საბალანსო ღირებულება წლის დასაწყისსა და წლის ბოლოს


ცხრილი №2.7

| წლები | 2014 | | 2015 | | 2016 | | 2017 | |
|----------------|----------------|------------|----------------|------------|----------------|------------|----------------|------------|
| | წლის დასაწყისი | წლის ბოლო | წლის დასაწყისი | წლის ბოლო | წლის დასაწყისი | წლის ბოლო | წლის დასაწყისი | წლის ბოლო |
| აქტიური ნაწილი | | 34,867,370 | 34,867,370 | 40,762,960 | 40,762,960 | 42,222,460 | 42,222,460 | 44,428,610 |
| პასიური ნაწილი | | 6,367,280 | 6,367,280 | 7,209,240 | 7,209,240 | 7,489,920 | 7,489,920 | 7,224,990 |

| | | | | |
|--|-------------|-------------|-------------|-------------|
| წარმოებული ბეტონის ღირებულება (ლ) | 298,980,600 | 302,152,218 | 306,342,212 | 399,017,811 |
| ძირითადი საშუალებების საშუალოწლიური ღირებულება (ლ) | 43,416,775 | 44,603,425 | 48,842,280 | 50,682,980 |
| მოგება (ლარი) | 50,541,220 | 72,217,052 | 90,754,690 | 100,100,340 |
| ძირითადი საშუალებების ფონდუკუგება | 6.89 | 6.77 | 6.27 | 7.87 |
| ძირითადი საშუალებების რენტაბელობა | 1.16 | 1.62 | 1.86 | 1.98 |

ფონდუკუგების მაჩვენებლის დონის ცვლილებაზე მოქმედი ფაქტორები შესაძლოა დაჯგუფებულ იქნეს შემდეგნაირად:





ზემოთ მოცემულ ცხრილზე გამოსახულია ფაქტორები, რომლებიც გავლენას ახდენენ ძირითადი საშუალებების უკუგებაზე. მათგან პირველი დონის ფაქტორებს მიეკუთვნება:

1. ძირითადი საშუალებების აქტიური ნაწილის ხვედრითი წილი მთლიან ძირითად საშუალებებში;
2. ძირითადი საშუალებების აქტიური ნაწილის უკუგება.

$$\Phi = K^a \times \phi^a$$

სადაც:

Φ - არის ძირითადი საშუალებების უკუგება;

ϕ^a - არის ძირითადი საშუალებების აქტიური ნაწილის უკუგება;

K^a - არის ძირითადი საშუალებების აქტიური ნაწილის ხვედრითი წილი მთლიან ძირითად საშუალებებში.

ძირითადი საშუალებების აქტიური ნაწილის (ტექნოლოგიური ნაწილის) უკუგება დამოკიდებული ისეთ ფაქტორებზე, როგორებიცაა: მისი სტრუქტურა, ნამუშევარი საათები და საშუალო გამომუშავება ერთეულ საათზე.

$$\phi^a = \frac{N \times T \times q}{F^a}$$

ზემოთ მოცემულია ფაქტორული მოდელი, სადაც:

ϕ^a - არის ძირითადი საშუალებების აქტიური ნაწილის უკუგება;

F^a - არის ძირითადი საშუალებების აქტიური ნაწილის საშუალოწლიური ღირებულება;

N - არის ტექნოლოგიური მოწყობილობების საშუალოწლიური ღირებულება;

T - არის წლის განმავლობაში ძირითადი საშუალებების (ტექნოლოგიური მოწყობილობების) ერთეულის მიერ ნამუშევარი მანქანა-საათი;

q - არის ერთ მანქანა საათში გამოშვებული პროდუქცია.

შესაძლებელია ძირითადი საშუალებების აქტიური ნაწილის (ტექნოლოგიური მოწყობილობების) უკუგების ფაქტორული მოდელი კიდევ უფრო გავაფართოვოთ. ამისათვის საჭიროა ერთეული მოწყობილობის მუშაობის დრო გამოსახულ იქნეს წლის განმავლობაში ნამუშევარი დღეების (**d**), ცვლიანობის კოეფიციენტის (**P**) და ცვლის საშუალო ხანგრძლივობის (**t**) სახით, ხოლო რაც შეეხება ტექნოლოგიურ მოწყობილობათა საშუალოწლიურ ღირებულებას, იგი წარმოდგენილ უნდა იყოს მისი რაოდენობის (**N**) და ერთეულის საშუალო ღირებულების (**f**) ნამრავლის სახით. შედეგად გვექნება შემდეგი სახის ფაქტორული მოდელი:

$$\phi^a = \frac{N \times d \times P \times t \times q}{N \times f} = \frac{d \times P \times t \times q}{f}$$

მოწყობილობათა უკუგებაზე ცალკეული ფაქტორის გავლენის სიდიდის განსაზღვრისათვის გამოიყენება ჯაჭვური ჩასმის ხერხი:

პირველი ფაქტორი - მოწყობილობათა ერთეულის საშუალოწლიური ღირებულების ცვლილება. ერთსა და იმავე პირობებში იგი შეიძლება გამოწვეულ იქნეს მხოლოდ მისი სტრუქტურის ცვლილებით:

$$\Delta^1 = \frac{d^0 \times P^0 \times t^0 \times q^0}{f^1} - \frac{d^0 \times P^0 \times t^0 \times q^0}{f^0}$$

მე-2 ფაქტორი - ნამუშევარი დღეების ცვლილების გავლენა:

$$\Delta^2 = \frac{d^1 \times P^0 \times t^0 \times q^0}{f^1} - \frac{d^0 \times P^0 \times t^0 \times q^0}{f^1}$$

მე-3 ფაქტორი - ცვლიანობის კოეფიციენტის ცვლილების გავლენა:

$$\Delta^3 = \frac{d^1 \times P^1 \times t^0 \times q^0}{f^1} - \frac{d^1 \times P^0 \times t^0 \times q^0}{f^1}$$

3

მე-4 ფაქტორი - ცვლის საშუალო ხანგრძლივობის ცვლილების გავლენა:

$$\Delta^4 = \frac{d^1 \times P^1 \times t^1 \times q^0}{f^1} - \frac{d^1 \times P^1 \times t^0 \times q^0}{f^1}$$

მე-5 ფაქტორი - ერთ მანქანა საათში გამოშვებული პროდუქციის ცვლილების გავლენა:

$$\Delta^5 = \frac{d^1 \times P^1 \times t^1 \times q^1}{f^1} - \frac{d^1 \times P^1 \times t^1 \times q^0}{f^1}$$

მაგალითი:

³ მ. ჯიქია - ეკონომიკური ანალიზი, თბილისი, 2018წ.

შპს „მშენებელი“-ს ძირითადი საშუალებების უკუგების მაჩვენებლები 2017 წელს

ცხრილი №2.9

| მაჩვენებლები | გეგმით | ფაქტობრივად | გადახრა |
|---|-------------|-------------|-----------|
| 1. წარმოებული ბეტონის ღირებულება (V) ლარი | 390,546,230 | 399,017,811 | 8,471,581 |
| 2.ძირითადი საშუალებების საშუალო წლიური ღირებულება (F) ლარი, მათ შორის | 45,800,300 | 50,682,980 | 4,882,680 |
| ძირითადი საშუალებების აქტიური ნაწილის ღირებულება (F _a) ლარი | 42,706,755 | 44,428,610 | 1,721,855 |
| ძირითადი საშუალებების ერთეული მოწყობილობების საშუალო წლიური ღირებულება (f) ლარი | 740,713 | 859,684 | 118,971 |
| 3. ძირითადი საშუალებების აქტიური ნაწილის ხვედრითი წილი (K ^a) | 0,875 | 0,86 | -0,015 |
| 4. ფონდუკუგება: | - | - | - |
| ძირითადი საშუალებების უკუგება (φ) ლარი | 8,4 | 7,87 | -0,53 |
| ძირითადი საშუალებების აქტიური ნაწილის უკუგება (φ ^a) ლარი | 10 | 9,89 | -0,11 |
| 5.ტექნოლოგიური მოწყობილობების საშუალო წლიური ღირებულება (N) | 900,670 | 1,235,660 | 334,990 |

| | | | |
|---|---------|---------|---------|
| 6. 2017 წლის განმავლობაში ყველა მოწყობილობის მიერ ნამუშევარი მანქანა-საათი (მ/ს) მათ შორის: | 702,450 | 669,000 | -33,450 |
| საათი (T) | 3,800 | 3,560 | -240 |
| ცვლა | 437 | 429 | -8 |
| დღე (d) | 245 | 235 | -10 |
| 7. მოწყობილობების მუშაობის ცვლიანობის კოეფიციენტი (P) | 3 | 2,88 | -0,12 |
| 8. ცვლის საშუალო ხანგრძლივობა (t) | 8,7 | 8,3 | -0,4 |
| 9. პროდუქციის გამოშვება ერთ მ/ს-ში (q) ლარი | 555 | 596 | 41 |

1-ლი დონის ფაქტორებმა წარმოებული ბეტონის მოცულობაზე მოახდინეს შემდეგი გავლენა:

1. ძირითადი საშუალებების აქტიური ნაწილის ხვედრითი წილის ცვლილება:

$$\Delta V = \phi \times F = -0,015 \times 50,682,980 = -760,248$$

2. ძირითადი საშუალებების აქტიური ნაწილის უკუგება:

$$\Delta V = \phi^a \times F = -0,11 \times 50,682,980 = -5,575,128$$

როგორც ვხედავთ, მთლიანი ძირითადი საშუალებების აქტიური ნაწილის ხვედრითი წილის ცვლილებამ გამოიწვია წარმოებული ბეტონის მოცულობის 760248 ლარით შემცირება, ხოლო ძირითადი საშუალებების აქტიური ნაწილის უკუგების ცვლილებამ კი - 5,575,128 ლარით შემცირება.

მე-2 დონის ფაქტორები შემდეგ გავლენას ახდენენ ძირითადი საშუალებების ფონდუკუგებაზე:

1-ლი ფაქტორი - მოწყობილობათა უკუგებაზე ერთეული მოწყობილობის საშუალო წლიური ღირებულების ცვლილება:

$$\Delta_1 = \frac{245 \times 3 \times 8,7 \times 555}{859,684} - \frac{245 \times 3 \times 8,7 \times 555}{740,713} = 413,55 - 479,97 = -0,66$$

მე-2 ფაქტორი - მოწყობილობათა უკუგებაზე ერთეული მოწყობილობის მიერ წლის განმავლობაში ნამუშევარი დღეების ცვლილება:

$$\Delta_2 = \frac{235 \times 3 \times 8,7 \times 555,977}{8,596,840} - \frac{245 \times 3 \times 8,7 \times 555,977}{8,596,840} = 396,67 - 413,55 = -0,17$$

მე-3 ფაქტორი - მოწყობილობათა უკუგებაზე ცვლიანობის კოეფიციენტის ცვლილება:

$$\Delta_3 = \frac{235 \times 2,88 \times 8,7 \times 555,977}{8,596,840} - \frac{235 \times 3 \times 8,7 \times 555,977}{8,596,840} = 380,8 - 396,67 = -0,16$$

მე-4 ფაქტორი - მოწყობილობათა უკუგებაზე ცვლის საშუალო ხანგრძლივობის ცვლილება:

$$\Delta_4 = \frac{235 \times 2,88 \times 8,3 \times 555,977}{8,596,840} - \frac{235 \times 2,88 \times 8,7 \times 555,977}{8,596,840} = 363,29 - 380,8 = -0,18$$

მე-5 ფაქტორი - მოწყობილობათა უკუგებაზე ერთ მანქანა-საათში წარმოებული ბეტონის ცვლილება:

$$\Delta_5 = \frac{235 \times 2,88 \times 8,3 \times 596,439}{8,596,840} - \frac{235 \times 2,88 \times 8,3 \times 555,977}{8,596,840} = 389,73 - 363,29 = 0,26$$

ყველა ფაქტორის გავლენათა ჯამი უდრის:

$$-0,066 - 0,017 - 0,016 - 0,018 + 0,026 = -0,91 \text{ ათასი ლარი}$$

მე-2 დონის ფაქტორთა გავლენის დასადგენად, ძირითადი საშუალებების უკუგებაზე გამოიყენება ფორმულა:

$$\Delta \phi = \Delta \phi^a \times K$$

- 1-ლი ფაქტორი = $-0,66 \times 0,86 = -0,57$
- მე-2 ფაქტორი = $-0,17 \times 0,86 = -0,15$
- მე-3 ფაქტორი = $-0,16 \times 0,86 = -0,14$
- მე-4 ფაქტორი = $-0,18 \times 0,86 = -0,15$
- მე-5 ფაქტორი = $0,26 \times 0,86 = 0,23$
- ჯამი: **-0.91 -0,78**

მე-2 დონის ფაქტორთა გავლენის დასადგენად, მოწყობილობების უკუგებაზე გამოითვლება ფორმულით:

$$\Delta V = \Delta \phi \times F$$

- 1-ლი ფაქტორი = $-0,57 \times 50,682,980 = -28,889,300$
- მე-2 ფაქტორი = $-0,15 \times 50,682,980 = -7,602,445$
- მე-3 ფაქტორი = $-0,14 \times 50,682,980 = -7,095,617$
- მე-4 ფაქტორი = $-0,15 \times 50,682,980 = -7,602,445$
- მე-5 ფაქტორი = $0,23 \times 50,682,980 = 11,657,085$

- ჯამი: -0,78 -39,532,720

როგორც ვხედავთ:

1. ერთეული მოწყობილობის საშუალოწლიური ღირებულების გაზრდამ 118,971 ლარით, გამოიწვია ფონდუკუგების შემცირება 0,66 ლარით, ხოლო წარმოებული ბეტონის ღირებულების შემცირება-28,889,300 ლარით;
2. ერთეული მოწყობილობის, ნამუშევარი დღეების შემცირებამ 10 დღით გამოიწვია ფონდუკუგების 0,16 ლარით, ხოლო წარმოებული ბეტონის ღირებულების 7,602,445 ლარით შემცირება;
3. ცვლიანობის კოეფიციენტის ცვლილებამ 0,12 ერთეულით, გამოიწვია ფონდუკუგების 0,16 ლარით, ხოლო წარმოებული ბეტონის ღირებულების 7,095,617 ლარით შემცირება;
4. ცვლის საშუალო ხანგრძლივობის შემცირებამ 0,4 საათით, გამოიწვია ფონდუკუგების 0,18 ლარით, ხოლო წარმოებული ბეტონის ღირებულების 7,602,445 ლარით შემცირება;
5. ერთ მანქანა-საათში წარმოებული ბეტონის მოცულობის გაზრდამ 40,462 ლარით, გამოიწვია ფონდუკუგების 0,26 ლარით, ხოლო წარმოებული ბეტონის ღირებულების 11,657,085 ლარით გაზრდა.

მე-3 დონის ფაქტორების გავლენა ძირითადი საშუალებების ფონდუკუგებაზე:

ცნობილია რომ:

- საანგარიშგებო, 2017 წელს ახალი მოწყობილობების ექსპლოატაციაში შეყვანის შემდეგ მთლიანი მოწყობილობების მიერ ნამუშევარი მანქანა-საათების რაოდენობა და მწარმოებლურობა გაიზარდა და შეადგინა: მანქანა-საათებმა 22000, ხოლო მწარმოებლურობამ 900000.

- იმავე 2017 წელს მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დანერგვამ ასევე გაზარდა მოწყობილობების მიერ ნამუშევარი მანქანა- საათების და მწარმოებლობის მოცულობა და შეადგინა: მანქანა-საათების რაოდენობამ 18700 ლ, ხოლო წარმოების მოცულობამ 740750.

1-ლი ფაქტორი - ახალი მოწყობილობების ექსპლოატაციაში შეყვანის გავლენა ძირითადი საშუალებების უკუგებაზე:

$$\Delta \phi_m = \frac{22,000 \times 900 - 22,000 \times 560}{44,428,610} = 0,17$$

მე-2 ფაქტორი - მეცნიერ-ტექნიკური პროგრესის გავლენა ძირითადი საშუალებების უკუგებაზე:

$$\Delta \phi_n = \frac{18,700 \times 740 - 18,700 \times 560}{44,428,610} = 0,076$$

მე-3 დონის ფაქტორთა გავლენა ძირითადი საშუალებების უკუგებაზე:

1-ლი ფაქტორი $+0,17 \times 0,86 = 0,15$ ლ

მე-2 ფაქტორი $+0,076 \times 0,86 = 0,065$ ლ

სულ $+ 0,24$ $0,22$

მე-3 დონის ფაქტორთა გავლენა გამოშვებული პროდუქციის მოცულობაზე:

1-ლი ფაქტორი $+0,15 \times 50,682,980 = 7,602,447$ ლ

მე-2 ფაქტორი $+0,065 \times 50,682,980 = 3,294,394$ ლ

სულ +0,22 10,896,841 ლ

როგორც ვხედავთ საანგარიშგებო 2017 წელს, მე-3 დონის ფაქტორებმა განაპირობეს შემდეგი მოვლენები:

- შპს „მშენებელი“-ს მიერ ახალი მოწყობილობების ათვისების შედეგად საწარმოში ძირითადი საშუალებების ფონდუკუგება გაიზარდა 0,15 ლარით, ხოლო წარმოებული ბეტონის მოცულობა 7,602,447 ლარით;
- მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დანერგვამ კი განაპირობა ფონდუკუგების ზრდა 0,065 ლარით, ხოლო წარმოებული ბეტონის მოცულობის ზრდა კი 3,294,841 ლარით.

2.3 საწარმოო სიმძლავრეების გამოყენების ანალიზი

წარმოების პროცესის ეფექტიანობა დამოკიდებულია საზოგადოებრივი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისათვის საჭირო საქონლისა და მომსახურების წარმოებისათვის საჭირო რესურსების არსებობაზე. ამ რესურსებში ერთერთი მთავარი როლი საწარმოო სიმძლავრეებს აკისრიათ. საწარმოო სიმძლავრე არის ეს არის გეგმით განსაზღვრული პროდუქციის გამოშვების ან მომსახურების გაწევის შესაძლებლობა, მუშაობის ნორმალური რეჟიმისა და წარმოების საშუალებების რაციონალურად გამოყენების პირობებში.

საწარმოო სიმძლავრეების მოცულობის განსაზღვრა დამოკიდებულია საბაზრო მოთხოვნის პროგნოზირებასა და საწარმოს პოლიტიკაზე. საწარმოო სიმძლავრეების დაგეგმვა შედარებით ადვილია წარმოების სფეროში. რაც შეეხება მომსახურების სფეროს, აქ საქმე გაცილებით რთულადაა, ვინაიდან აქ მოთხოვნილებები მეტად ცვალებადია და არც იმის საშუალებაა, რომ მარაგებით შევძლოთ საზოგადოებრივი მოთხოვნილებების

უზრუნველყოფა. გრძელვადიან პერიოდში მომსახურების სფეროში მოქმედი საწარმოს სიმძლავრე უნდა აღემატებოდეს მოთხოვნის რაოდენობას, რათა თვიდან იქნეს აცილებული რიგები, სწორედ ამიტომ მომსახურების სფეროში საწარმოო სიმძლავრეების დაგეგმვისას საწარმომ უნდა გაითვალისწინოს შესაძლო მოთხოვნის მაქსიმალური ოდენობა, მოცდენილი დანადგარების მაქსიმალური მოცულობა და ისე განსაზღვროს საწარმოო სიმძლავრეების საჭიროების მოცულობა.

მოკლევადიან პერიოდში ზოგჯერ შესაძლებელია ადგილი ქონდეს საწარმოო სიმძლავრეების ცვლილებას, მოთხოვნილებათა ცვლილების პროპორციულად, მაგალითად ზეგეგმიური სამუშაოების ხარჯზე, თუმცა ასეთი შემთხვევები როგორც წესი იშვიათია. გაცილებით მასშტაბურ ცვლილებასთან საქმე გვაქვს მაშინ, როდესაც ასეთი ცვლილება გრძელვადიანი სტრატეგიული ხასიათისაა და დიდ დანახარჯებთანაა დაკავშირებული. გამომდინარე იქიდან, რომ საწარმოო სიმძლავრეების სწორად დაგეგმვა საციცოცხლოდ მნიშვნელოვანია საწარმოს ეფექტიანობისათვის, აუცილებელია საწარმოს ხელმძღვანელობამ დიდი ყურადღება დაუთმოს მას, წინააღმდეგ შემთხვევაში საწარმოს შესაძლოა საკმარისი დრო აღარც კი დარჩეს შეცდომის გამოსასწორებლად, მათი ადრეულ ეტაპზე აღმოჩენის შემთხვევაშიც კი.

საწარმოო სიმძლავრეების გამოყენების დახასიათებისათვის გამოიყენება შემდეგი კოეფიციენტები:

$$K_{\text{საერთო}} = \frac{\text{პროდუქციის გეგმიური ან ფაქტობრივი გამოშვება}}{\text{საწარმოს საშუალოწლიური საწარმოო სიმძლავრე}}$$

$$K_{\text{ინტენსიური}} = \frac{\text{პროდუქციის საშუალო დღე-ღამური გამოშვება}}{\text{საშუალო დღე-ღამური საწარმოო სიმძლავრე}}$$

$$K_{\text{ეკსტენსიური}} = \frac{\text{სამუშაო დროის გეგმიური ან ფაქტობრივი ფონდი}}{\text{სამუშაო დროის ფონდი განსაზღვრული საწარმოო სიმძლავრით}}$$

ანალიზის პროცესში შეისწავლება ზემოთ მოცემული კოეფიციენტების დინამიკა და გეგმის შესრულების მოცულობა, ასევე გეგმიდან გადახვევის გამომწვევი მიზეზები. მაგალითად:

საწარმოს შეუძლია გამოუშვას 60,000 ერთეული პროდუქცია. ხელმძღვანელობის მიერ დაგეგმილი გამოშვების მოცულობა შეადგენს-55,000 ერთეულს. პერიოდის ბოლოს ფაქტობრივად გამოშვებულმა პროდუქციამ შეადგინა 53,500 ერთეული. აღნიშნულის მიხედვით საწარმოო სიმძლავრის გამოყენების საერთო კოეფიციენტი იქნება:

გეგმით:

$$K_{\text{საერთო}} = \frac{55,000}{60,000} \times 100 = 91,7\%$$

ფაქტობრივად:

$$K_{\text{საერთო}} = \frac{53,500}{60,000} \times 100 = 89,2\%$$

კომპანიის საწარმოო სიმძლავრეების დადგენისათვის აუცილებელია კონკრეტულ პროდუქციასა თუ მომსახურებაზე მოთხოვნილების, საწარმოს შესაძლებლობების და თითოეულ დანაყოფში მოწყობილობების სტრუქტურის განსაზღვრა. როგორც წესი, საწარმოო სიმძლავრეების დადგენის სამი ეტაპია მნიშვნელოვანი:

1. ამა თუ იმ პროდუქციასა თუ მომსახურებაზე მოთხოვნის მოცულობის დადგენა პროგნოზირების საშუალებით;
2. საჭირო დანადგარებისა და სამუშაო ძალის გამოანგარიშება პროდუქციისა თუ მომსახურების პროგნოზირებული გაყიდვების შესაბამისად;
3. კონკრეტული პერიოდის მიხედვით დანადგარებისა და სამუშაო ძალის გამოყენების მოცულობის გეგმის შედგენა.

ამის შემდეგ საწარმოები ახდენენ სარეზერვო სიმძლავრის განსაზღვრას, რომელიც არის სხვაობა დაგეგმილ და გამოყენებულ სიმძლავრეების მაჩვენებლებს შორის. საწარმოო სიმძლავრეების გამოყენების დროს საწარმო ხშირად დგას ფაქტის წინაშე, როდესაც აუცილებელია მისი გაზრდა. ამ დროს ჩნდება რამდენიმე პრობლემა რომელთაგან ყველაზე მნიშვნელოვანია:

1. მთავარი საწარმოო სისტემების ბალანსის შენარჩუნება;
2. საწარმოო სიმძლავრეების განახლების სიხშირის განსაზღვრა;
3. და სიმძლავრეების გარე წყაროებიდან დაფინანსების საკითხი.

საწარმოო სისტემის ბალანსის შენარჩუნება. სრულად დაბალანსებულ საწარმოში პროდუქციის მოცულობა პირველი საწარმოო სტადიის შემდეგ უნდა შეესაბამებოდეს მეორე სტადიის რესურსულ პოტენციალს, მეორე სტადიისა მესამეს და ა.შ. ბოლო სტადიის ჩათვლით. თუმცა მსგავსი ფაქტი პრაქტიკულად არ ხდება, რადგან მსგავსი სრულყოფილების მიღწევა შეუძლებელია და ეკონომიკური თვალსაზრისითაც არ არის გამართლებული, რამეთუ წარმოების სხვადასხვა სტადიისთვის დამახასიათებელია წარმოების მოცულობის სხვადასხვა ოპტიმალური ოპერატიული დონეები.

არსებობს სრული დაბალანსებულობის საწინააღმდეგო სხვა არგუმენტებიც, კერძოდ ბაზარზე მოთხოვნილების მერყეობა და ტექნოლოგიური ცვლილებები, რაც თავისთავად იწვევს საწარმოო სისტემის დაუბალანსებლობას, თუ არ ჩავთვლით ავტომატიზებულ ამწყობ ხაზს, რომელიც ფაქტობრივად ერთ მთლიან დანადგარს წარმოადგენს. სისტემის დაუბალანსებლობასთან ბრძოლის რამდენიმე საშუალება არსებობს. ერთი მათგანია იმ საწარმოო უბნის სიმძლავრის მომატება, რომელსაც ყველაზე ნაკლები მწარმოებლურობა გააჩნია. ამის მიღწევა შესაძლებელია დროებითი ღონისძიებებით, მაგალითად, ზეგეგმიურ სამუშაოთა გრაფიკის შედგენით, დანადგარების გრძელვადიანი არენდით ან ქვემოიჯარეებთან დადებული კონტრაქტის ხარჯზე დამატებითი სიმძლავრეების მოზიდვით. კიდევ ერთი საშუალებაა სარეზერვო მატერიალურ-სასაქონლო მარაგების შექმნა, რაც უზრუნველყოფს პროდუქციის

შეუფერხებელ წარმოებას. ხშირად გამოყენებული მეთოდია საწარმოო სიმძლავრეების დუბლირებაც.

საწარმოო სიმძლავრეების განახლების სიხშირე. საწარმოო სიმძლავრის განახლების დროს მთავარია ხშირი მოდერნიზაციისთვის საჭირო დანახარჯებსა და იშვიათი მოდერნიზაციის გამო წარმოქმნილ დანაკარგებს შორის ბალანსის მოძებნა. საწარმოო სიმძლავრეების ხშირად მოდერნიზაცია, როგორც წესი, ძვირი უჯდება საწარმოს. უპირველესად გასათვალისწინებელია ამ პროცესთან დაკავშირებული ისეთი პირდაპირი დანახარჯები, რაც საჭიროა ძველი დანადგარების შეცვლისა და მათზე მომუშავე პერსონალის გადამზადებისათვის. მნიშვნელოვანია არაპირდაპირი დანაკარგებიც, რაც ამა თუ იმ საწარმოო უბნის მოცდენით არის გამოწვეული. მიუხედავად მოდერნიზაციასთან დაკავშირებული დანახარჯებისა, საწარმოო სიმძლავრეების პერიოდული განახლება აუცილებელია სხვადასხვა მიზეზის: ფიზიკური და მორალური ცვეთის, საბაზრო მოთხოვნის ცვლილების, ტექნოლოგიური პროგრესის და ა.შ. გამო. მისი პერიოდულობა კი დამოკიდებულია დარგის და საწარმოს კონკრეტულ პირობებზე. იშვიათი მოდერნიზაცია, თავის მხრივ, დიდ დანაკარგებთან შეიძლება იყოს დაკავშირებული, რასაც მასალების და შრომის ზედმეტი ხარჯი, მოთხოვნილებისადმი შეუსაბამო რაოდენობის პროდუქციის წარმოება, ღარიბი ან მოძველებული ასორტიმენტი იწვევს.

საწარმოო სიმძლავრეების გაზრდის გარე წყაროები. ხშირად ეკონომიკურად გამართლებულია, რომ კომპანიამ საერთოდ არ გაზარდოს საკუთარი საწარმოო სიმძლავრეები და რომელიმე სხვა ფირმის საწარმოო სიმძლავრეები გამოიყენოს. ეს, როგორც წესი, ორი გზით ხორციელდება - სუბკონტრაქტის გაფორმებით ან საწარმოო სიმძლავრეების ერთობლივი გამოყენებით. საწარმოო სიმძლავრეების ერთობლივი გამოყენება დღეს საკმაოდ გავრცელებულია დასავლეთში, განსაკუთრებით აშშ-ში და ხშირად იქმნება არცთუ დიდი, სრულად ავტომატიზებული საწარმო, რომელიც ამა თუ იმ კომპანიას შეუძლია იქირავოს და მისი მეშვეობით დროის რაღაც მონაკვეთში გაზარდოს საკუთარი წარმადობა.

მოწყობილობების გამოყენების ანალიზის დროს უნდა გაირკვეს საწარმოში არსებული მოწყობილობებიდან რამდენი მუშაობს ფაქტობრივად და რამდენია რეზერვში ან არ მუშაობს რაიმე სხვა მიზეზით. იმის დასადგენად თუ რამდენად არის ჩართული სხვადასხვა მოწყობილობა წარმოების პროცესში იყენებენ შემდეგ მაჩვენებლებს:

1. არსებული მოწყობილობების გამოყენების კოეფიციენტი:

$$K = \frac{\text{გამოყენებული მოწყობილობების რიცხვი}}{\text{არსებული მოწყობილობების რიცხვი}}$$

2. დადგმული მოწყობილობების გამოყენების კოეფიციენტი:

$$K = \frac{\text{გამოყენებული მოწყობილობების რიცხვი}}{\text{დადგმული მოწყობილობების რიცხვი}}$$

შპს „მშენებელი“-ს მოწყობილობათა მდგომარეობის მაჩვენებლების დინამიკა 2016 წელი

ცხრილი №2.10

| მაჩვენებლები | გეგმით | | ფაქტობრივად | | გადახრა |
|--------------------------------|----------------------|------------------|----------------------|------------------|---------|
| | რაოდენობა ცალებში | ხვედრითი წილი | რაოდენობა ცალებში | ხვედრითი წილი | |
| სულ არსებული მოწყობილობები: | 740 | 100 | 745 | 100 | 5 |

| | | | | | |
|-------------------------------|-----|----|-----|----|-----|
| დადგმული | 695 | 94 | 690 | 93 | -5 |
| დაუდგმელი | 45 | 6 | 55 | 7 | 10 |
| დადგმული მოწყობილობებიდან: | | | | | |
| • მოქმედი | 645 | 93 | 625 | 91 | -20 |
| • უმოქმედო | 50 | 7 | 65 | 9 | 15 |

შპს „მშენებელი“-ს მოწყობილობათა მდგომარეობის მაჩვენებლების დინამიკა 2017 წელი

ცხრილი №2.11

| მაჩვენებლები | გეგმით | | ფაქტობრივად | | გადახრა |
|--------------------------------|----------------------|------------------|----------------------|------------------|---------|
| | რაოდენობა ცალებში | ხვედრითი წილი | რაოდენობა ცალებში | ხვედრითი წილი | |
| სულ არსებული მოწყობილობები: | 780 | 100 | 770 | 100 | -1 |
| დადგმული | 685 | 88 | 700 | 91 | 15 |
| დაუდგმელი | 95 | 12 | 70 | 9 | -25 |
| დადგმული მოწყობილობებიდან: | | | | | |
| • მოქმედი | 650 | 95 | 660 | 94 | 10 |
| • უმოქმედო | 35 | 5 | 40 | 6 | 5 |

როგორც ცხრილ №2.11-სა და ცხრილ №2.12-ზე მოცემულია შპს „მშენებელი-ს“ მოწყობილობათა მდგომარეობის მაჩვენებლები 2016 და 2017 წლებში.

2016 წელს წელს შპს „მშენებელი“-ს ფაქტობრივად გააჩნია 5 ერთეული მოწყობილობით მეტია გეგმასთან შედარებით, თუმცა გეგმას 5 ერთეულით ჩამორჩება დადგმული მოწყობილობების რიცხვი და ის 93%-ს შეადგენს 94%-ის ნაცვლად. 20 ერთეულით შემცირება ფიქსირდება ასევე მოქმედი მოწყობილობებთან დაკავშირებით და მისი ხვედრითი წილი დადგმულ მოწყობილობებთან მიმართებაში შეადგენს 94%-ს 95%-ის ნაცვლად.

2017 წელს შპს „მშენებელი“-ს განკარგულებაში ფაქტობრივად არსებული მოწყობილობების რიცხვი შეადგენს 770 ერთეულს, რაც 10 ერთეულით ჩამორჩება გეგმით განსაზღვრულ რაოდენობას. უკეთესი მდგომარეობა დადგმულ მოწყობილობებთან დაკავშირებით და ფაქტობრივად იგი 700, რაც 3 პროცენტით მეტია დაგეგმილ რაოდენობასთან შედარებით. რაც შეეხება მოქმედ მოწყობილობებს აქაც დადებითი შედეგი შეინიშნება და ფაქტობრივად მოქმედი მოწყობილობების რიცხვი გეგმით განსაზღვრულთან შედარებით 5-ით მეტია და მისი ხვედრითი წილი დადგმულ მოწყობილობებთან მიმართებაში შეადგენს 6%-ს 5%-ის ნაცვლად.

რაც შეეხება 2016-2017 წლების დინამიკას, 2017 წელს მოწყობილობების რიცხვი გაიზარდა როგორც გეგმით, ისევე ფაქტობრივად, თუმცა თუ 2016 წელს გადახრა დადებითი იყო და შეადგენდა 5 ერთეულს, 2017 წელს იგივე მაჩვენებელმა -15 შეადგინა. 2017 წელს საპირისპირო ფაქტი დაფიქსირდა 2016 წელთან შედარებით დადგმულ და დაუდგმელ მოწყობილობებთან დაკავშირებით, კერძოდ, 2017 წელს გეგმით დადგმული მოწყობილობების რიცხვი განისაზღვრა 685 ერთეულით, რაც 10 ერთეულით ნაკლებია წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით, ხოლო ფაქტობრივად დადგმული მოწყობილობების რიცხვმა 700 ერთეული შეადგინა, რაც 10 ერთეულით მეტია წინა წელზე. საბოლოოდ კი 2017 წელს დადგმული მოწყობილობების გადახრამ 15 შეადგინა რაც პროცენტულად 91%-ია 88%-ის ნაცვლად. ხოლო რაც შეეხება მოქმედი

მოწყობილობების დინამიკას, 2017 წელს 2016 წელთან შედარებით გაიზარდა როგორც გეგმით ისე ფაქტობრივად არსებული მოქმედი მოწყობილობების რიცხვი გეგმით განსაზღვრულმა 5-ით ხოლო ფაქტობრივმა 35-ით გადააჭარბა წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებლებს. 2017 წელ მოქმედი მოწყობილობების რაოდენობამ შეადგინა 660 დაგეგმილი 650-ის ნაცვლად, გადახრამ შეადგინა 10 რაც დადებით მოვლენას წარმოადგენს, თუმცა პროცენტულად შემცირდა მისი ხვედრითი წილი დადგმულ მოწყობილობებთან მიმართებაში და მან 94% შეადგინა 95%-ის ნაცვლად.

საწარმოების მიერ გამოყენებული საწარმოო სიმძლავრეების ეფექტურობა სხვადასხვა ფაქტორზეა დამოკიდებული, ეს ფაქტორებია:

- ძირითადი საშუალებების მოცულობა და სტრუქტურა;
- ძირითადი საშუალებების ტექნიკური დონე და მწარმოებლურობა;
- ტექნოლოგიური განვითარება;
- საწარმოში დასაქმებული კადრების კვალიფიკაცია;
- შრომის ორგანიზება;
- წარმოების მუშაობის რეჟიმი;
- სოციალური პასუხისმგებლობა და სხვა.

საწარმოო სიმძლავრეების გამოყენების ანალიზის პროცესში აუცილებელია შესწავლილ იქნეს, თითოეული ზემოთ ჩამოთვლილი ფაქტორს გავლენა საწარმოო სიმძლავრეების ეფექტიანად გამოყენებაზე.

საწარმოო სიმძლავრეების გამოყენების ანალიზი უნდა ჩატარდეს თითოეულ სტრუქტურულ ერთეულში ცალ-ცალკე. პირველ რიგში მნიშვნელოვანია შესწავლილ იქნეს საწარმოს მუშაობის რეჟიმი, რომელიც მოიცავს:

- ცვლების რაოდენობას;
- სამუშაო დღის ხანგრძლივობას;
- სამუშაო კვირის ხანგრძლივობას;

მოწყობილობათა ექსტენსიური დატვირთვის ხარისხის დასადგენად შეისწავლება მათი მუშაობის დროის ბალანსი, რომელიც მოიცავს:

1. **კალენდარული დროის ფონდი = დადგმულ მოწყობილობათა რიცხვი × კალენდარულ დღეთა რიცხვი × 24 სთ**

კალენდარული დროის ფონდი აჩვენებს მთლიან მოწყობილობათა მუშაობის შესაძლო მაქსიმალურ დროს.

2. **რეჟიმული დროის ფონდი = დადგმული მოწყობილობების რაოდენობა × სამუშაო დღეთა რიცხვი × სამუშაო დღის ხანგრძლივობა**

3. **გეგმური დროის ფონდი** - გულისხმობს მოწყობილობათა მუშაობის დროს გეგმით. მასსა და რეჟიმული დროის ფონდს შორის განსხვავება არის იმ რაოდენობით, რა პერიოდის განმავლობაშიც მოწყობილობები იმყოფებოდნენ გეგმურ რემონტზე.

4. **ფაქტობრივი დროის ფონდი** - საანგარიშგებო პერიოდში მოწყობილობათა მიერ ფაქტობრივად ნამუშევარი დრო.

ზემოთ მოცემული ფონდების შედარება საშუალებას იძლევა დადგინდეს მოწყობილობების ექსპლუატაციაში შეყვანის გეგმის შესრულების ხარისხი ვადებისა მოცულობის მიხედვით.

მოწყობილობათა მუშაობის დროის გამოყენების დახასიათებისათვის იყენებენ სხვადასხვა კოეფიციენტებს, ესენია:

- **კალენდარული დროის ფონდის გამოყენების კოეფიციენტი**

$$K = \frac{\text{მოწყობილობების მუშაობის ფაქტობრივი დროის ფონდი}}{\text{კალენდარული დროის ფონდი}}$$

- რეჟიმული დროის ფონდის გამოყენების კოეფიციენტი

$$K = \frac{\text{მოწყობილობების მუშაობის ფაქტობრივი დროის ფონდი}}{\text{რეჟიმული დროის ფონდი}}$$

- გეგმური დროის ფონდის გამოყენების კოეფიციენტი

$$K = \frac{\text{მოწყობილობების მუშაობის ფაქტობრივი დროის ფონდი}}{\text{გეგმური დროის ფონდი}}$$

- მოცდენების ხვედრითი წილი კალენდარული დროის ფონდში

$$K = \frac{\text{მოწყობილობების მოცდენების დრო}}{\text{კალენდარული დროის ფონდი}}$$

საწარმოო დანიშნულების ანალიზის პროცესში ერთერთი საკვანძო ადგილი მოქმედი მოწყობილობების გამოყენების ანალიზს უჭირავს. ანალიზის დროს აუცილებელია დადგინდეს მოწყობილობების ექსტენსიური და ინტენსიური გამოყენების კოეფიციენტები.

მოქმედი მოწყობილობების დროის მიხედვით გამოყენებას ექსტენსიური გამოყენება ეწოდება.

$$K_{\text{ექსტენსიური}} = \frac{\text{ფაქტობრივად ნამუშევარი მანქანა-საათები}}{\text{გეგმით განსაზღვრული მანქანა-საათები}}$$

მოწყობილობების გამოყენებას წარმადობის მიხედვით ეწოდება ინტენსიური გამოყენება.

$$K_{\text{ინტენსიური}} = \frac{\text{ფაქტობრივი გამოშვება ერთ მანქანა-საათი}}{\text{გეგმით განსაზღვრული გამოშვება}}$$

კიდევ ერთი კოეფიციენტი, რომლითაც ხასიათდება მოწყობილობათა გამოყენება, ესაა მოწყობილობათა ინტეგრალური დატვირთვის კოეფიციენტი. იგი არის ექსტენსიური და ინტენსიური დატვირთვის კოეფიციენტების ნამრავლი.

$$K_{\text{ინტეგრალური}} = K_{\text{ექსტენსიური}} \times K_{\text{ინტენსიური}}$$

ძირითადი საშუალებების გამოყენების ეფექტიანობის ამაღლებისათვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება მოწყობილობების ცვლიანობის გაზრდას.

$$K_{\text{ცვლიანობის}} = \frac{\text{ყველა ცვლაში ნამუშევარი მოწყობილობების რაოდენობა}}{\text{მოწყობილობების საერთო რაოდენობა}}$$

მაგალითი:

ერთერთ საწარმოში 60 დანადგარია, მათგან პირველ ცვლაში მუშაობდა 40 დანადგარი, მეორე ცვლაში - 30, მესამეში - 25, და მეოთხეში - 25, მეხუთეში კი - 30 ფაქტობრივად ნამუშევარია 150 მანქანა-ცვლა. ცვლიანობის კოეფიციენტი იქნება:

$$K_{\text{ცვლიანობის}} = \frac{150}{60} = 2,5$$

იმისათვის, რომ დადგინდეს მოწყობილობების გამოყენების ხარისხი, აუცილებელია ერთმანეთს შევუდაროთ ცვლიანობის გეგმური და ფაქტობრივი კოეფიციენტები.

შპს „მშენებელი“-ს მოწყობილობებისა და დანადგარების ცხრილი 2017 წელი

ცხრილი №2.12

| მაჩვენებლები | დანადგარი 1 | დანადგარი 2 | დანადგარი 3 | დანადგარი 4 |
|--|----------------|----------------|----------------|----------------|
| დანადგარების რაოდენობა | 185 | 195 | 200 | 190 |
| თვის განმავლობაში თითოეული დანადგარის მიერ გამომუშავებული მანქანა-საათი | 37,000 | 39,000 | 41,000 | 40,000 |
| თვის განმავლობაში თითოეული დანადგარის მიერ ერთ ცვლაში მუშაობის დროითი ფონდი | 176 | 176 | 176 | 176 |
| სამუშაო დღეების რაოდენობა თვეში | 22 | 22 | 22 | 22 |

ერთი ცვლის ხანგრძლივობა = $176/22=8$

დანადგარების მიერ გამომუშავებული მანქანა-ცვლები:

დანადგარი 1 – $37,000/8=4625$

დანადგარი 2 – $39,000/8=4875$

დანადგარი 3 – $41,000/8=5125$

დანადგარი 4 – $40,000/8=5000$

$$K_{\text{ცვლიანობის}} = \frac{4,625+4,875+5,125+5,000}{22 \times (185+195+200+190)} = \frac{19,625}{16,940} = 1,16$$

თითოეული დანადგარისთვის ცვლიანობის კოეფიციენტი იქნება შემდეგი:

$$\text{დანადგარი 1} - K_{\text{ცვლიანობის}} = \frac{4625}{22 \times 185} = 1,14$$

$$\text{დანადგარი 2} - K_{\text{ცვლიანობის}} = \frac{4875}{22 \times 195} = 1,14$$

$$\text{დანადგარი 3} - K_{\text{ცვლიანობის}} = \frac{5125}{22 \times 200} = 1,16$$

$$\text{დანადგარი 4} - K_{\text{ცვლიანობის}} = \frac{5000}{22 \times 190} = 1,2$$

ზემოაღნიშნული მონაცემები გვიჩვენებს, რომ ცვლიანობის ყველაზე დაბალი მაჩვენებლები ფიქსირდება N1 და N2 დანადგარებთან. ამის მიზეზი იყო ამ ორი სახეობის ერთეული დანადგარების მიერ გამომუშავებული მანქანა-საათი რაც ორივე შემთხვევაში შეადგენდა 25-ს ($4625/185=25$; $4875/195=25$). რაც შეეხება მე-3 და მე-4 სახეობის დანადგარებს, მესამე დანადგარების შემთხვევაში დაფიქსირდა შედარებით მეტი გამომუშავებული მანქანა-საათი, რაც თითოეული დანადგარის შემთხვევაში შეადგენდა

25.63-ს, ხოლო ყველაზე მაღალი მაჩვენებელი ერთეული მოწყობილობის მიერ გამომუშავებული მანქანა-დანადგარის მიხედვით დაფიქსირდა მე-4 სახეობის დანადგარების შემთხვევაში და მან 26.32 შეადგინა.

დასკვნა

ამრიგად, შპს „მშენებელ“-ში ძირითადი საშუალებების მაღალი ხვედრითი წილი მანქანა-დანადგარებსა და ავტოსატრანსპორტო საშუალებებზე მოდის. სააღრიცხვო პოლიტიკის მიხედვით აქტივების აღიარება ხდება თვითღირებულებით, ხოლო ცვეთის დარიცხვა შემცირებადი ნაშთის მეთოდით.

კვლევის პროცესში გამოვლინდა ისეთი საკითხები როგორცაა სხვადასხვა კოეფიციენტებისა და ფაქტორების გავლენა ძირითადი საშუალებების უკუგებაზე.

საანგარიშგებო 2017 ძირითადი საშუალებების უკუგებაზე მოქმედმა ფაქტორებმა განაპირობეს შემდეგი მოვლენები:

1-ლი დონის ფაქტორები - ძირითადი საშუალებების აქტიური ნაწილის ფაქტორივი ხვედრითი წილი 0,015-ით ნაკლები აღმოჩნდა გეგმით გათვალისწინებულზე რამაც გამოიწვია წარმოების მოცულობის 760,248 ლარით შემცირება. გეგმასთან შედარებით 0,11-ით შემცირდა ასევე ძირითადი საშუალებების აქტიური ნაწილის უკუგება, რამაც განაპირობა ის, რომ 5,575,128 ლარით შემცირდა წარმოების მოცულობაც.

აღნიშნული ფაქტორები ცალსახად უარყოფით გავლენას ახდენენ წარმოების პროცესზე, ამიტომ საჭიროა სხვადასხვა დონისძიების გატარება, კერძოდ: საწარმომ უნდა გაზარდოს ძირითადი საშუალებების აქტიური ნაწილის ხვედრითი წილი მთლიან ძირითად საშუალებებში, ასევე უნდა გაიზარდოს თითოეული ძირითადი საშუალების მწარმოებლურობა, რაც მათი განახლებით ან ახალი საშუალებებით ჩანაცვლებითაა შესაძლებელი.

მე-2 დონის ფაქტორები - მოწყობილობათა უკუგებაზე ერთეული მოწყობილობის საშუალო წლიური ღირებულების შემცირებამ 0,66ლარით გამოიწვია წარმოებული ბეტონის მოცულობის 28,889,300 ლარით შემცირება; მოწყობილობათა უკუგებაზე ერთეული მოწყობილობის მიერ წლის: განმავლობაში ნამუშევარი დღეების შემცირებამ გამოიწვია წარმოების მოცულობის 7,602,445 ლარით შემცირება; მოწყობილობათა უკუგებაზე ცვლიანობის კოეფიციენტის შემცირებამ გამოიწვია წარმოების 7,095,617 ლარით შემცირება; მოწყობილობათა უკუგებაზე ცვლის საშუალო ხანგრძლივობის შემცირებამ გამოიწვია წარმოების მოცულობის 7,602,445 ლარით შემცირება; მოწყობილობათა უკუგებაზე ერთ მანქანა-საათში წარმოებული ბეტონის გაზრდამ გამოიწვია წარმოებული ბეტონის ღირებულების 11,657,085 ლარით გაზრდა.

მეორე დონის ფაქტორების უარყოფითი გავლენის გამოსასწორებლად აუცილებელია: ძირითადი საშუალებების განახლება, და ამით მათი ღირებულების საშუალო წლიური ღირებულების გაზრდა, ასევე ზეგანაკვეთური მუშაობა, რათა

აღმოიფხვრას დროის შემცირებით გამოწვეული დანაკლისები, რაც შეეხება ერთ მანქანა საათში გამოშვებული პროდუქციის მოცულობის გაზრდას ეს ცალსახად დადებითი მოვლენაა.

მე-3 დონის ფაქტორები - ახალი მოწყობილობების ექსპლოატაციაში შეყვანის 0.17 გაზრდამ გამოიწვია წარმოების მოცულობის 7,602,447 ლარით გაზრდა; ხოლო მეცნიერ-ტექნიკური პროგრესმა და ახალი მოწყობილობების გაზრდამ 0,076-ით გამოიწვია წარმოების მოცულობის გაზრდა 10,896,841 ლარით. აქ პრობლემა არ აქვს საწარმოს და შეუძლია შეუფერხებლად გააგრძელოს საქმიანობა.

2017 წელს ჩატარდა ასევე საწარმოო სიმძლავრეების გამოყენების ანალიზი, რამაც გვიჩვენა, რომ საწარმოში ადგილი ჰქონდა ასევე ერთეული დანადგარების ცვლიანობის კოეფიციენტების ცვლილებას კერძოდ: საწარმოს გააჩნია 4 სახეობის დანადგარი. ანალიზის მიხედვით 1-ლი და მე-2 სახეობის დანადგარები შედარებით ნაკლებმწარმოებლურობით გამოირჩევიან, რისი მთავარი მიზეზიც აღნიშნული დანადგარების მიერ გამომუშავებული მანქანა საათებია.

იმისათვის რომ საწარმომ გაზარდოს მწარმოებლურობა, აუცილებელია თითოეული დანადგარის მიერ წარმოებული მანქანა-საათების რაოდენობის გაზრდა, რაც შესაძლებელია აღნიშნული დანადგარების ახალი უფრო თანამედროვე დანადგარებით ჩანაცვლებით ან უკვე არსებული დანადგარების მოდერნიზებით და მათი ექსპლოატაციის ვადის გაზრდით.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტი - ბასს 16 ძირითადი საშუალებები;
2. ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტი - ბასს 20 სახელმწიფო გრანტებისა და დახმარებების აღრიცხვა (აღიარება და ასახვა ფინანსურ ანგარიშგებაში).
3. თ. დოლიაშვილი, გ. ლილუაშვილი - ბუღალტრული აღრიცხვა, სტუდენტის სახელმძღვანელო, ელ. ვერსია, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი, თბილისი, 2015წ.
4. ელიავა შ. ელიავა ლ. - პრაქტიკული ბუღალტერია ყველასათვის, სახელმძღვანელო, თბილისი, 2017წ.
5. ლომსაძე ე., მელიქიძე ც. წამალაშვილი ე. - ფინანსური აღრიცხვა და ანგარიშგება მცირე და საშუალო საწარმოებში, სახელმძღვანელო, შპს „ბუღალტერთა მომზადების ცენტრი“ თბილისი, 2010წ.
6. ნანობაშვილი ქ. - საბუღალტრო აღრიცხვის ფინანსური ანალიზის საფუძვლები, დამხმარე სახელმძღვანელო, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, 2009წ.
7. საქართველოს საგადასახადო კოდექსი - თბილისი, 2016წ;
8. ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი - ფასს 17 იჯარა (აღიარება და ასახვა ფინანსურ ანგარიშგებაში).
9. ჭილაძე ი. - ფინანსური ანალიზი, სახელმძღვანელო, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, 2018წ.
10. ხარაბაძე ე. - ფინანსური აღრიცხვა (მე-2 დონე), სახელმძღვანელო, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, 2018წ.
11. ხორავა ა. კვატაშიძე ნ. სრესელი ნ. გოგრიჭიანი ზ. - ბუღალტრული აღრიცხვა, სახელმძღვანელო, გამომცემლობა „მერიდიანი“ თბილისი, 2017წ.
12. ჯიქია მ. - ეკონომიკური ანალიზი, ელ. სახელმძღვანელო, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, 2018წ.
13. www.tsu.ge
14. www.mof.gov.ge
15. www.rs.ge
16. www.support.apex.ge
17. www.nplg.gov.ge
18. www.wikipedia.org
19. www.google.ge
20. www.old.press.ge
21. www.reportal.ge
22. www.saras.gov